ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## თორნიკე შარაშენიძე:
„ნატოს წევრობისთვის მზად ვართ, მაგრამ რუსეთის გამო არ გვიღებენ“




Gocha LEZHAVA (RFE/RL)

გვ.2

25 მაისიდან

ოქროს ბიბლიოთეკა

თეოდორ დრაიზერი

ამერიკული ტრაგედია

ნაწილი 2



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ოთხშაბათი, 31 მაისი, 2017

№127 (7362)

ფასი: 50 თეთრი

# „ჩინჩალაძე ციხეში უნდა ჩაესვათ, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნეს“

ზაზა ხატიაშვილი: „ჩინჩალაძეებმა და მურუსიძეებმა მმართველ გუნდს საკონსტიტუციო უმრავლესობა მოუტანეს“



გვ.3

## „პარლამენტის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე იქნება“

## ედიშერ ქარჩავა:
## „მტკიცებულებებს მხოლოდ სინოდზე წარმოვადგენ“

რატომ არ დაუშვეს პროცესზე სახალხო დამცველი






გვ.5

კახა კუკავა: „ირაკლი კობახიძეს გერმანიაში ელჩად უშვებენ“ „ივანიშვილი ოპოზიციის ყიდვას აპირებს“

გვ.4



## ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილის აქტიურობა ადგილობრივი არჩევნების წინ ხალხს უარესად გაალიზიანებს“

გვ.2



## საქართველოდან გაუჩინარებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ბაქოში აღმოჩნდა



აფგან მუხთარლი თბილისიდან სპეცსამსახურებმა გაიტაცეს?

გვ. 7

## რა შემთხვევაში არ ვიხდით საშემოსავლო გადასახადს?



გვ.3

ISSN 1987-9385



გვ.6

## „მათ, ვინც ლარის გაუქმებაზე ოცნებობს“

## ელზა ჯგერენაია: „შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე ერთი ორგანო არ იქნება პასუხისმგებელი“



გვ.6

# თორნიკე შარაშენიძე: „ნატოს წევრობისთვის მზად ვართ, მაგრამ რუსეთის გამო არ გვიღებენ“

ნათია ხურცილავა

**ნატოს საინფორმაციო ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ დეკლარაციაზე საუბრობს.**




***– ბატონო თორნიკე, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია ხაზს უსვამს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი მაპის მეშვეობით. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი თალაკვაძე არ გამორიცხავდა, რომ საქართველო ნატოს წევრი მაპის გარეშე გამხდარიყო. როგორ აფასებთ მიღებულ დეკლარაციას?***

– ნატოს საპარლამენტო ასამბლეა რომ ჩატარდა თბილისში, ეს უფრო მნიშვნელოვანია ამ ეტაპისთვის. ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი სახელმწიფო, მაგრამ ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში. ეს ნიშნავს, რომ ნატოსთვის მეორეხარისხოვანი არ არის საქართველო.

***– ეს ერთგვარი გზავნილია?***

– რა თქმა უნდა, ეს არის გზავნილი, გზავნილია პირველ რიგში რუსეთისთვის, რომ საქართველო არ არის მეორეხარისხოვანი ნატოსთვის. ჩვენ ვართ ასპირანტი ქვეყანა, მაგრამ უფრო მეტი მხარდაჭერა გვაქვს და ეს არა მხოლოდ რიტორიკის დონეზეა, არამედ საქმითაც.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ყოველთვის უფრო გაბედული და რადიკალურია. უფრო გახსნილები არიან, ვიდრე ნატოს წევრი სახელმწიფოები. კონკრეტულად რაც შეეხება დეკლარაციას, სასიამოვნოა, კარგი დეკლარაციაა, მაგრამ ახალი არაფერი არ თქმულა. ჩვენ ნატო ყოველთვის გვიჭერს მხარს. უფრო მნიშვნელოვანი მაინც იყო ის, რომ ასამბლეა ჩატარდა საქართველოში.

***– როგორც ჩანს, კვლავ არის მოლოდინი გარკვეულ დონეზე ხელისუფლებაში, რომ მაპის გარეშე მიგვიღებენ. თუმცა, ვარშავის სამიტზე ნატოს წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა თქვეს, რომ საქართველოს დასჭირდება წევრობის სამოქმედო გეგმა, რომ ალიანსის წევრი გახდეს. რატომ არის ხელისუფლებაში ასეთი მოლოდინები?***

– რაც შეეხება მაპის გარეშე წევრობას, ამის შესახებ ძალიან ბევრჯერ მაქვს განმარტება გაკეთებული, ნატოში მაპის გარეშე არ მიგვიღებენ. ამის დასტური იყო ნატოს ბოლო სამიტი, სადაც მოხდა პირდაპირ დაფიქსირება, რომ საქართველოს დასჭირდება სამოქმედო გეგმა. შეიძლება ქართველმა პოლიტიკოსებმა ეს არ იციან, თუნდაც იმ კონკრეტულმა დეპუტატმა, რომელზეც მკითხეთ.

***– ლიტვის დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომ საბოლოო წევრობისთვის მოემზადოს. თუ ასეა, რატომ არ იღებს გადაწყვეტილებას ნატო, რომ მიგვიღოს?***

– საქართველომ ტექნიკურად ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნატოს სტანდარტებს მიახლოებოდა. ტექნიკურად ჩვენ უკვე მზად ვართ წევრობისთვის.

***– რატომ ყოვნდება მიღება?***

– პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ჯერ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მიუღიათ ლიდერებს, სწორედ ეს გვაყოვნებს.

***– რა უშლის ხელს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას?***

– რუსეთის ფაქტორი. ეს არის ძალიან რთული გადაწყვეტილება, ასე მარტივად არ დგას საქმე.

***– ნატოს სახელმწიფოები ფიქრობენ, რომ რუსეთს წითელი ნაჭერი არ აუფრიალონ?***

– დიახ, ნამდვილად ასეა. ამიტომ ვამბობ, რომ რთული გადაწყვეტილების წინაშე დგანან ნატოს ლიდერები. ნატოს ასამბლეის გამომსვლელები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ საქართველოს დიდი ხნის წინ უნდა მიეღო მაპი, მაგრამ ფაქტია, რომ ასე არ არის. არ არის იმიტომ, რომ რთული გადასაწყვეტია.

***– კვლავ გერმანია, საფრანგეთი არიან ის ქვეყნები, რომლებიც აყოვნებენ ჩვენთვის ნატოში მიღებას?***

– დიახ, სამწუხაროდ, ასეა.

***– რა მიმართულებით არის სამუშაო ამ ქვეყნებთან?***

– ასე მარტივი არ იქნება. თუ არ შეიცვლება რუსული ფაქტორი, ჩვენ რაც არ უნდა ვიმუშაოთ. ძალიან ძნელი იქნება გერმანიის, საფრანგეთის და სხვების გადარწმუნება. რუსეთი ძალიან აგრესიულია და ევროპას ეშინია ახალი კონფლიქტის. ეშინია, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გახდეს მიზეზი ახალი კონფლიქტის. რუსეთს ღიად აქვს ნათქვამი, რომ მისი საზღვრების სიახლოვეს ნატოს არ დაუშვებს. ამიტომ ხშირად ეს ქვეყნები გვეუბნებიან, რომ უნდა გავაძლიეროთ დემოკრატია, კარგად ჩავატაროთ არჩევნები და ა.შ. ეს ყველაფერი ასეც უნდა იყოს, რომ შემდეგ, მაგალითად, გერმანიის კანცლერმა და სხვებმა არ მიგვითითონ, რომ დემოკრატიას აქვს ჩვენთან პრობლემები. შემდეგ ჩვენ უფრო ძლიერი პოზიცია გვექნება და პირდაპირ შეგვეძლება, რომ მოვთხოვოთ მაპი, წევრობა. ეს ამოცანა უნდა ჰქონდეს დღეს ჩვენს ხელისუფლებას.

***– მაკრონისა და პუტინის შეხვედრაზეც მინდა გკითხოთ. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა თქვა, ტერორიზმთან დაკავშირებით რუსეთთან ითანამშრომლებენ, ეს რა გზავნილი იყო?***

– პუტინთან გამართული შეხვედრით, მე ვფიქრობ, რომ მაკრონმა დაასკვნა, უფრო გაუმყარდა აზრი, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს გერმანიას და უნდა გააძლიეროს ევროკავშირი. ახლა არ არის ევროკავშირის მორყევის დრო, პირიქით, ახლა არის, როგორც არასდროს, ევროკავშირის გაძლიერების დრო, რადგან რუსეთთან ურთიერთობა ძალიან რთულია და კიდევ უფრო რთული გახდება. რაც შეეხება მაკრონის განცხადებას, ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლასთან დაკავშირებით, ეს უფრო დიპლომატიური ჟესტი იყო.

***– რუსეთის წინააღმდეგ სანქციები შენარჩუნდება?***

– რა თქმა უნდა, და ეს დაადასტურა დიდი შვიდეულის შეხვედრამ.

# ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილის აქტიურობა ადგილობრივი არჩევნების წინ ხალხს უარესად გაალიზიანებს“

## „ივანიშვილი და სააკაშვილი ჰილარი კლინტონს აფინანსებდნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე აქტუალური პრობლემაზე „ახალი თაობა" ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის" ლიდერ ლევან ჩაჩუას.**



***– საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო-სახალხო განხილვაზე თბილისში ერთ-ერთმა მოქალაქემ „ქართულ ოცნებას“ ნაცმოძრაობასთან დამყარებული კოაბიტაცია გაუხსენა და უთხრა, მისთვის ხმა იმიტომ არ მიუცია, რომ ნაციონალური მოძრაობა გაეძლიერებინა. კოაბიტაციის თემა ისევ აქტუალურია?***

– ეს თემა ისევ აქტუალურია. ასეთი საყვედურები „ქართული ოცნების“ დეპუტატებს რეგიონებშიც უთხრეს. ეს იმას ადასტურებს, რომ ჩვენში ადამიანები, რომლებსაც მძიმე ყოფაში უწევთ ცხოვრება, არსებითად მიიჩნევენ სხვა საკითხებს. საქართველოში არასდროს ყოფილა საპროტესტო გამოსვლები უფასო სასადილოების გახსნის, ან სამუშაო დროის შემცირების მოთხოვნით. ამგვარი მოთხოვნების გამო სხვა ქვეყნებში მანქანებს წვავენ და ვიტრინებს ამსხვრევენ. ვამაყობ, რომ საქართველოში ადამიანებს, პირველ რიგში, აღელვებთ სახელმწიფოებრივი და სულიერი პრობლემები და არა – სოციალური საკითხები. კოაბიტაცია ერთ-ერთი არსებითი საკითხია.

***– კერძოდ?***

– ხალხისთვის ის მიბმულია ღირსებასთან და სამართლიანობასთან. კოაბიტაციის გამოცხადებით მმართველმა პარტიამ ფეხქვეშ გათელა იმ მოქალაქეების ღირსება, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა დააზარალა. რამდენი წელია, უნდათ თავიანთი უფლებების აღდგენა. საუბარი არაა მხოლოდ ქონების დაბრუნებაზე. საზოგადოებისთვის გულსატკენია ის, რომ „ქართული ოცნება“ გაურიგდა ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ლამის 10 წლის განმავლობაში დამპყრობელივით იქცეოდა საკუთარ ქვეყანაში და არ შეასრულა დაპირებები. ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალები და მათი განაყოფები მთავარ ოპოზიციად დაგვისვა პარლამენტში, შუა კი გაკრიფა. პოლიტიკაში დატოვა ორი ოდიოზური ძალა თავისი განაყოფებით.

***– აღნიშნეთ, რომ სოციალური პრობლემები საზოგადოებისთვის არაარსებითია. სოციოლოგიური გამოკითხვები სხვა სურათს იძლევა.***

– არ მჯერა იმ სოციოლოგიური კვლევებისა, რომლებშიც მთავარი კუჭის პრობლემებია. ადამიანებს უჭირთ, მაგრამ საქართველოში პირველ ადგილზე სხვა პრობლემებს აყენებენ. საპროტესტო აქციებიც განსხვავებული და მშვიდობიანი გვაქვს. საჯარო შეხვედრებზეც გამოჩნდა, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის მტკივნეულია ის, რაც ქვეყანას და მომავალ თაობას სჭირდება. საზოგადოება თანხმდება, რომ საქართველო უნდა გაიწმინდოს როგორც „ქართული ოცნებისაგან“, ისე გაშლილი ნაციონალური მოძრაობისგან. ეს ორი ოდიოზური ძალა მედლის ორი მხარეა.

***– ეს როგორ უნდა მოხდეს? ორივე ძალა დიდი ბერკეტების მფლობელია.***

– არც ერთს არ გააჩნია ხალხის მხარდაჭერა. როცა საამისოდ სიტუაცია მომწიფდება, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოვითხოვთ. მორიგებაზე წასვლას არ ვაპირებთ. იმას ვერ ვიზამთ, რომ მიწის საკითხზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას დავჯერდეთ, სხვა საკითხები კი გადავწიოთ. ამ ვითომ ძლევამოსილი ძალების ბერკეტებს ხალხი გააბათილებს. ჩვენ იმაზე მზარდი და პერსპექტიული მოძრაობა ვართ, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია.

***– წინ ადგილობრივი არჩევნებია. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ოპოზიციას მხოლოდ მაშინ აქვს შანსი ამ არჩევნებზე, თუ გაერთიანდება.***

– ჩვენ ხალხისგან ამგვარი დაკვეთა არ მიგვიღია. ოპოზიციამ მოლოდინი გაამტყუნა. ბიძინა ივანიშვილმა ერთი კარგი საქმე გააკეთა – მისი შემწეობით ოპოზიციონერებმა თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინეს. ბოლო 5 წლის განმავლობაში ნათელი მოეფინა, ვინ ვის გაურიგდა, ვინ გაიყიდა. ყველა გაიშიფრა. ჩვენი დაკვირვებული საზოგადოება ამაში ერკვევა. ადამიანებს ახალი ეროვნული მოძრაობის მოთხოვნა აქვთ. ისინი არ ენდობიან დისკრედიტირებულ პოლიტიკურ პარტიებს. „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთ ოდიოზურ ძალად აღიქმება. ეგენი თუ არ მოვაცილეთ ქვეყანას, იმ ჭაობში დავიხრჩობით, რომელიც უკვე 26 წელიწადია დაგუბდა. თუ არაფერი შეიცვალა, რწმენის წინააღმდეგ ბრძოლაც გაძლიერდება.

***– რას გულისხმობთ?***

– მართლმადიდებელ ეკლესიას სხვადასხვა მეთოდით გააფთრებით ებრძვიან. შევჩერდები 17 მაისის მოვლენებზე.

***– წლევანდელ 17 მაისს რა მოხდა?***

– იმ დროს, როცა რუსთაველზე უამრავი ადამიანი გამოსული იყო ოჯახის დღის აღსანიშნავად, ზოგი კი ამ დღესასწაულს სახლებში ხვდებოდა, სახელმწიფო კანცელარიასთან ლესბოსელები და მამათმავლები გაძლიერებული დაცვის თანხლებით პერფორმანსებს აწყობდნენ. ხელისუფლებამ ასეთი წარმოდგენები მოაწყო საკუთარი ოფისების ფანჯრებთან.

***– ხელისუფლება მათ ვერ დაშლიდა.***

– შეკრებილების დაშლაზე არც ვსაუბრობ. იცით, როგორ მოხვდნენ ლგბტ-პირები მთავრობის ადმინისტრაციასთან? ისინი იქ ხელისუფლებამ ქალაქის სხვადასხვა უბნის მეტროსადგურებიდან მიკროავტობუსებით მიიყვანა, შემდეგ კი იქ პოლიციის კორდონი ჩააყენა. მათთან მხოლოდ ტელევიზიები მიუშვეს. შეკრებილები შეურაცხყოფდნენ ეკლესიას. ეს წარმოდგენა მოგვიწყო ხელისუფლებამ.

***– ადგილობრივი არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილი გამოვა „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად, როგორც ეს ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას გააკეთა?***

– შეიძლება გამოვიდეს, მაგრამ ამით მმართველ პარტიას დივიდენდები არ შეემატება. ხალხს ეს უფრო გააღიზიანებს. ვინც ხალხს ხვდება, იცის, რომ ივანიშვილის ავტორიტეტი დღითიდღე ეცემა. ხალხმა შეიგნო, რომ ივანიშვილმა მათ ტყუილი დაპირებები მისცა და „გადააგდო“, მის მიერ დასმულ ხელისუფლებას კი მარტო პრემია-დანამატები და საკუთარი კეთილდღეობა ადარდებს.

ბიძინა ივანიშვილი კარგა ხანია საზოგადოებაში არ გამოჩენილა. ამის მიზეზი დონალდ ტრამპის გამარჯვებაა. ცნობილია, რომ ივანიშვილი და სააკაშვილი მარტო სიტყვით კი არ უჭერდნენ მხარს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჰილარი კლინტონს, არამედ, აფინანსებდნენ კიდეც. დონალდ ტრამპის გამარჯვება ორივესთვის ცივი შხაპი აღმოჩნდა. ამიტომ, ამერიკაში ხანმოკლე ვიზიტებით ჩასულ ჩვენს მაღალჩინოსნებს საყვედურებსაც ეუბნებიან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ჩინჩალაძე ციხეში უნდა ჩაესვათ, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნეს“

## ზაზა ხატიაშვილი: „ჩინჩალაძეებმა და მურუსიძეებმა მმართველ გუნდს საკონსტიტუციო უმრავლესობა მოუტანეს“



ნონა ცაბაძე

**დიდი ხმაურისა და საპროტესტო აქციის ფონზე წარიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა, სადაც რამდენიმე სასამართლოსა და კოლეგიის თავმჯდომარის არჩევის წესზე მსჯელობდნენ. არასამთავრობო სექტორი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესს აპროტესტებდა. ასევე სერიოზული ვნებათაღელვა მოჰყვა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნას.**

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს ხელმძღვანელი ეკა გიგაური მიიჩნევს, რომ ვალერი ცერცვაძის სისტემიდან წასვლა სწორედ ამ საერთო გეგმის ნაწილი იყო და არავის სჯერა, რომ იგი სასამართლოს რეპუტაციაზე ფიქრობდა. მის ნაცვლად კი დაინიშნა მიხეილ ჩინჩალაძე და ის კლანი, რომელიც ძლიერდება სასამართლო სისტემაში, ამით კიდევ უფრო გაძლიერდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ორიოდე კვირის წინ ჩინჩალაძე სააპელაციო სასამართლოში უვადოდ გაამწესა, 29 მაისს კი ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი მიიჩნევს, რომ მიმდინარეობს სასამართლო სისტემის სრული მურუსიძიზაცია და ჩინჩალაძიზაცია.

– ჩინჩალაძე, რომელიც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ციხეში უნდა მჯდარიყო, ჯერ უვადოდ გაამწესეს სასამართლოში და ახლა ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნეს. სასამართლო სისტემა ჩინჩალაძის ხელში გადავიდა, რომელიც მოსპობს სამართლიან სასამართლოზე ოცნებას, – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი, რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო ზაზა, რა პროცესები მიმდინარეობს სასამართლო სისტემაში? სააკაშვილის რეჟიმის მოსამართლეებს ჩაუგდეს სასამართლო სისტემა ხელშიო. ასეა?***

– სააკაშვილის რეჟიმი იდგა მურუსიძეებზე, ჩინჩალაძეებზე, მეიშვილებზე, ცერცვაძეებსა და კუბლაშვილებზე. ეს ხუთი ადამიანი იყო, რომელიც მართავდა სააკაშვილის დროს სასამართლო სისტემას. ადეიშვილის და მერაბიშვილის იდეების გამტარებელი კი იმდროინდელ სასამართლოში იყო სწორედ ჩინჩალაძე. ჩინჩალაძე იყო ერთ-ერთი დიდი სირცხვილი სასამართლო სისტემის.

***– ის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა.***

– დიახ. ეს არის სამოქალაქო საზოგადოების შეურაცხყოფა და ეს არის საარჩევნო აფიორა ივანიშვილის მხრიდან. ამას ეკონომიკური რეფორმები ხომ არ სჭირდებოდა, ან დენის ტარიფის შემცირება?! ეს ხომ არ იყო ასი ქარხანა?! აქ საჭირო იყო პოლიტიკური ნება!

***– ვერ თქვეს უარი სააკაშვილის კადრებზე?***

– ივანიშვილს თავიდანვე რომ ეთქვა, რომ მურუსიძეზე და ჩინჩალაძეზე ააგებდა სასამართლო სისტემას, ის ხელისუფლებაში საერთოდ ვერ მოვიდოდა! ივანიშვილი მატყუარაა, მან ულირსად მოატყუა სამოქალაქო საზოგადოება! სწორედ მე ვიყავი პირველი ადამიანი, ვინც ივანიშვილს დაუპირისპირდა. თავიდანვე გამოვედი და განვაცხადე, რომ ამ ადამიანს ქვეყანა ქაოსისკენ მიჰყავდა და სააკაშვილის რეჟიმის ყველაზე ოდიოზური ფიგურები გახდებოდნენ ივანიშვილის საყრდენები. მაშინ ბევრი მლანძღავდა, იგონებს ხატიაშვილიო, მაგრამ რაც მე ვთქვი, ერთი ერთში დადასტურდა. თავიდანვე განვაცხადე, რომ მურუსიძესთან გარიგებული იყო ივანიშვილის რეჟიმი. სამოქალაქო საზოგადოება დღესაც ვერ გამოფხიზლდა.

***– არ სჯერა მოსახლეობას იმის, რომ ივანიშვილი სააკაშვილის რეჟიმს გაურიგდა?***

– ხალხი ნიჰილიზმშია ჩავარდნილი. გაოგნებულია საზოგადოება იმით, თუ რა სპეცოპერაცია ჩაატარა ივანიშვილმა და როგორ მოექცა ხელისუფლების სათავეში. ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის საყრდენების დაცვა მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან. იმ ხალხს, ვინც უსამართლობა დათესა ქვეყანაში, მისცეს ხელშეუხებლობის გარანტია და დანიშნეს უმაღლეს თანამდებობებზე. ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლით ეს ხალხი გადაარჩინა და ეს იყო საარჩევნო აფიორა.

ხალხს ძალიან უჭირს იმის დაჯერება, რომ საკუთარი ძალისხმევით ხელისუფლებაში მოიყვანეს სააკაშვილი-2, რომელმაც ქვეყანა წაიყვანა ქაოსისკენ. როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად და ეკონომიკურად.

***– დღესაც სააკაშვილის რეჟიმის ინტერესები ტარდება?***

– სააკაშვილი და ივანიშვილი ზუსტად ერთნაირი ჩამოსხმაა. ძალიან მიჭირს მათი განსხვავება, არც ვთვლი, რომ ერთმანეთისგან რამით განსხვავდებიან.

***– საპროტესტო აქციაში, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან გაიმართა, მონაწილეობას თქვენც იღებდით. მოთხოვნა სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევის წესის შეცვლა იყო. უფრო კონკრეტულად, რის შეცვლას ითხოვთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან?***

– როდესაც ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, იუსტიციის საბჭომ პრესკონფერენცია გამართა, სადაც ითქვა, რომ ისეთი რეფორმა უნდა განვახორციელოთ, რომ სასამართლოს თავმჯდომარე გახდება არჩევითი თანამდებობაო. მესამე ტალღა განვახორციელეთო და რა მოხდა ამ მესამე ტალღით? სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს იუსტიციის საბჭო.

მურუსიძეებმა იძალეს ამ მესამე ტალღაში და მათ ყოველგვარი კრიტერიუმის გარეშე შეუძლიათ, აირჩიონ სასამართლოს თავმჯდომარე და კოლეგიის თავმჯდომარე. შემდეგ კი ამ სასამართლოს თავმჯდომარეებით აკომპლექტებენ იუსტიციის საბჭოს. ორმაგი წნეხის ქვეშ აყენებენ მოსამართლეებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარეებს დაემორჩილონ!

***– ეკა გიგაურმა განაცხადა, რომ დიდი გეგმის ნაწილია ცერცვაძის გადადგომა და ის პროცესები, რაც დღეს მიმდინარეობს. რა გეგმაზეა საუბარი, რომ ჩინჩალაძეს ჩაუგდონ ხელში სასამართლო სისტემა?***

– დიახ, ასეა. ჩინჩალაძეებმა და მურუსიძეებმა მმართველ გუნდს მოუტანეს საკონსტიტუციო უმრავლესობა!

***– და ეს არის დამსახურებული ჯილდო?***

– დიახ, ეს არის ჯილდო ივანიშვილისგან. არჩევნების შემდეგ ეუთოს მისიამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომ დიდი დარღვევებით წარიმართა თვლის პროცედურა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ 2016 წლის არჩევნები გაყალბდა. როდესაც პოლიტიკური სუბიექტები ითხოვდნენ საარჩევნო ხმების გადათვლას, მურუსიძემ ეს არ დაუშვა. საკონსტიტუციო უმრავლესობა აღმოჩნდა ხელისუფლების ხელში. ისმის კითხვა, თუ „ოცნებამ“ არჩევნები პატიოსნად მოიგო, რატომ არ გადაითვალა ხმები?!

***– რატომ?***

– იმიტომ არ გადაითვალა, რომ მაშინ ერთი უბანიც რომ გახსნილიყო, ეს ბევრ კითხვას გააჩენდა. ამიტომ არ დაუშვა სასამართლომ, რომ ხმები გადათვლილიყო. ივანიშვილმა მურუსიძეს ჩააბარა სასამართლო. ერთადერთი, უზენაეს სასამართლოში იყო შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტს წარედგინა კანდიდატები და ახლა ესეც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაულოცეს. ლევან მურუსიძე უზენაეს სასამართლოსაც ხელში აიღებს. მთლიან კონტროლს ამყარებს სასამართლო სისტემაზე.

***– რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რა გათვლა აქვს „ოცნებას“?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება, მაგრამ იმ ქულას დაიწერს, რაც მოუნდება. ხოლო შემდეგ ლევან მურუსიძე და მიხეილ ჩინჩალაძე არ დაუშვებენ ხმების გადათვლას. სასამართლო სისტემაში მურუსიძის და ჩინჩალაძის გაძლიერება იმაზე დიდი უბედურებაა, რაც 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილმა დაატრიალა!

***– წარსულს ჩაბარდა ოცნება დამოუკიდებელ სასამართლოზე?***

– დამოუკიდებელი სასამართლო კი არა, ქვეყანა იქნება თუ არა დამოუკიდებელი, ესეც საკითხავია!

***– ბატონო ზაზა, არასამთავრობო სექტორი ასევე სერიოზულ პროტესტს გამოთქვამს სტრასბურის სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა შერჩევის წესზე. შეირჩა ხუთეული, თუმცა გაკეთდა განცხადებები, რომ არ მოხდა სამართლიანი შერჩევა. რას იტყვით თქვენ?***

– ამ კომისიაში მეც ვიყავი. ლადო ჭანტურიას და სოფო ჯაფარიძეს უმაღლესი შეფასებები დავუწერე. ჩვენ კითხვის ნიშნები გვქონდა დანარჩენ სამ კანდიდატზე. ამ სამი კანდიდატის ამ ხუთეულში მოხვედრა იყო წარმოუდგენელი.

***– სავარაუდოდ, ლადო ჭანტურიაზე შეჩერდება არჩევანიო, რას იტყვით მის კანდიდატურაზე?***

– მე მის კანდიდატურასთან პრეტენზია არ მაქვს, უმაღლესი შეფასება დავუწერე. კარგია, რომ პირველი ადგილი სწორედ მან დაიკავა. ეს ობიექტური იყო. დანარჩენ სამზე გაჩნდა კითხვის ნიშნები. ალანია სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ცნობილი მოსამართლე იყო. ამ სიაში როგორ უნდა მოხვედრილიყო?! იყვნენ მასზე ბევრად ღირსეული მოსამართლეები, რომლებიც არ შეეგუვნენ სააკაშვილის რეჟიმს, განცხადება დაწერეს და წამოვიდნენ სასამართლო სისტემიდან, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ მათ სააკაშვილის სახე – ალანია ამჯობინა! ამაზე მეტი რაღა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“?!

# რა შემთხვევაში არ ვიხდით საშემოსავლო გადასახადს?



საშემოსავლო გადასახადს ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყველა იხდის.

ეს არის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ადამიანს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ეხსნება. ამ საკითხს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლი აწესრიგებს. რა შემთხვევაში თავისუფლდება ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადისგან? – ამ შეკითხვაზე ადვოკატი ირაკლი უტიაშვილი გვიპასუხებს:

– ზოგადი წესის მიხედვით, ფიზიკური პირის შემოსავალი 20 პროცენტით იბეგრება, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა კანონმდებლობა ამცირებს ან სულაც ათავისუფლებს ფიზიკურ პირს ამ თანხისგან. ასეთი შემთხვევაა საცხოვრებელი ბინის გაქირავება: თუ ადამიანი გააქირავებს ფართს და ამის შესახებ საგადასახადო ორგანოს აცნობებს, მისი შემოსავალი მხოლოდ 5%-ით დაიბეგრება, ხოლო თუ კომერციულ ფართს გააქირავებს, ეს შეღავათი აღარ შეეხება და უკვე 20 პროცენტით დაიბეგრება.

***– ბატონო ირაკლი, ძალიან ბევრს აინტერესებს, როგორ იბეგრება უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციისგან მიღებული მოგება?***

– დავუშვათ, ადამიანმა შეიძინა საცხოვრებელი სახლი 2017 წლის 20 მაისს და გადაიხადა 50 ათასი ლარი. თუ ამ სახლს ის ორი წლის შემდეგ გაასხვისებს, მაშინ საშემოსავლოს გადახდა აღარ მოუწევს, მაგრამ თუ ორი წლის გასვლამდე გაყიდის დავუშვათ, 60 ათას ლარად, მის მიერ მიღებული ნამატი ანუ 10 ათასი ლარი 5%-ით დაიბეგრება. რაც შეეხება მოძრავ ქონებას, კერძოდ, ავტომანქანას, მისი გაყიდვის შედეგად მიღებული ნამატიც 5%-ით იბეგრება, თუ ფიზიკური პირი მას შეძენიდან 6 თვის განმავლობაში გაყიდის.

***– რაც შეეხება ხელფასს, ამ შემთხვევაში რა შეღავათები არსებობს?***

– საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება პირი, რომლის წლიური შემოსავალი ხელფასის სახით, 3 ათას ლარს არ აღემატება. თუ თქვენი ხელფასი თვეში 200, ან 220 ლარია, თქვენ ამ გადასახადს აღარ გადაიხდით, მაგრამ თუ ხელფასი 3 ათას ლარზე მეტი გაქვთ, ჩვეულებრივად უნდა გადაიხადოთ ხელფასის 20 პროცენტი. ამ მხრივ ჩვენი კანონმდებლობა შესაცვლელია, რადგან უსამართლობაა, როცა ერთნაირად იბეგრება ის, ვისი ხელფასი 4-5 ათასი ლარია და ისიც, ვისი ხელფასი 300-400 ლარია. განვითარებულ ქვეყნებში ეს სხვაობა კარგად არის გამიჯნული.

***– საინტერესოა, მეწარმეებზე რა შეღავათები ვრცელდება?***

– ძირითადი შეღავათები მიკრობიზნესის წარმომადგენლებზე ვრცელდება. საგადასახადო კანონმდებლობა ადამიანს მიკრომეწარმის სტატუსს მაშინ ანიჭებს, თუ ის არ იყენებს დაქირავებულ შრომას და მისი წლიური შემოსავალი 30 ათას ლარს არ აღემატება. ამ შემთხვევაში ის მთლიანად არის გათავისუფლებული საშემოსავლო გადასახადისგან, ოღონდ, უნდა მივიდეს საგადასახადო ორგანოში და დარეგისტრირდეს, როგორც მიკრობიზნესის წარმომადგენელი. მიკრობიზნესის მსგავსად, არ იბეგრება საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ ის არ აღემატება 200 ათას ლარს. მაგალითად, თუ ფიზიკურმა პირმა მოიყვანა სიმინდი, ან თხილი, თვითონვე გაყიდა და მის მიერ მიღებული ნამატი არ აღემატება 200 ათას ლარს, ის არ დაიბეგრება, მაგრამ თუ ე.წ. გადამყიდველმა შეიძინა გლეხის მიერ მოწეული მოსავალი და გაყიდა, მისი მოგება ჩვეულებრივად უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით: თუ იყიდა 1 ლარად და გაყიდა 1,20 ლარად, სწორედ ეს 20 თეთრი ანუ ნამატი უნდა დაიბეგროს.

***– კიდევ რა კატეგორიის ხალხი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს?***

– ამ გადასახადისგან სრულიად თავისუფლდებიან დონორები, რომლებიც სისხლს გასცემენ, რადგან სისხლის გაყიდვის საფასური არ იბეგრება. ასევე არ იბეგრება ლატარიაში მოგებული თანხა, თუ ის არ აღემატება 1.000 ლარს. არ იბეგრება ალიმენტიც – არც მისი მიმღები იხდის საშემოსავლოს და არც – გამცემი. შეიძლება ყველამ არ იცის, რომ არ იბეგრება განქორწინების შედეგად მიღებული შემოსავალიც: თუ ქონება გაიყო და მეუღლეს მიეკუთვნა რაღაც წილი ამ ქონებიდან, ის არ დაიბეგრება.

***– საინტერესოა, მემკვიდრეობით მიღებული შემოსავალი თუ იბეგრება?***

– ადვოკატებს ამ კითხვას ძალიან ხშირად გვისვამენ და მისი პასუხი ასეთია: პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით, ან მემკვიდრეობით მიღებული შემოსავალი არ იბეგრება. შეგახსენებთ, რომ პირველი რიგის მემკვიდრეები არიან: მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილთაშვილი და მისი შვილი, ასევე – მშობელი და მშვილებელი. მეორე რიგის მემკვიდრეები კი არიან: და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები. თუ მესამე, ან მეოთხე რიგის მემკვიდრეები ჩუქებით, ან მემკვიდრეობით მიიღებენ ქონებას, რომლის ღირებულებაც 150 ათას ლარს არ აღემატება, არც ეს ქონება დაიბეგრება. მესამე რიგის მემკვიდრეები არიან ბებია, პაპა და მათი დედ-მამა, როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან, ხოლო მეოთხე რიგისა – ბიძა, დეიდა და მამიდა.

შორენა მარსაგიშვილი

# „პარლამენტის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე იქნება“

## კახა კუკავა: „ირაკლი კობახიძეს გერმანიაში ელჩად უშვებენ“

**რა არ აპატია ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი კობახიძეს და რას უპირებს ის ოპოზიციას, რა შემთხვევაში გაქრება ნაციონალური მოძრაობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა ესაუბრება.**

***– კახა, თქვენ განაცხადეთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე გახდება, ირაკლი კობახიძეს კი სადმე ელჩად გაუშვებენ. ეს თქვენი ვარაუდია თუ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ?***

– ამის შესახებ ღიად საუბრობენ ხელისუფლებაში. კობახიძეს „ოცნებამ“ უკვე შეუსუსტა პოზიციები. პირველ ეტაპზე ის კონსტიტუციის საჯარო განხილვის პროცესს ჩამოაცილეს. აშკარად იგრძნობა, რომ მამუკა მდინარაძეა ამ ამბავში პირველი პირი. გარდა იმისა, რომ ამ პროცესს განაგებს, დე ფაქტოდ პარლამენტშიც უკვე ჩაანაცვლა კულულა კობახიძე. ეს ჩანაცვლება მალე ოფიციალურადაც გაფორმდება.

***– თქვენი აზრით, როგორ წავა ირაკლი კობახიძე, იტყვის, მაიძულებენ, წავიდეო?***

– ამას არ იტყვის. უბრალოდ, განცხადებას დაწერს გადადგომის შესახებ. მერე გამოვლენ „ოცნების“ ლიდერები და გვეტყვიან, კობახიძემ ამ თანამდებობაზე თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ის საქართველოს სხვა ფრონტზე სჭირდებაო. გვეტყვიან, რომ დღეს საქართველოსთვის გერმანიასთან კარგი ურთიერთობები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და კულულაც სიამოვნებით დათანხმდება გერმანიაში საქართველოს დესპანის თანამდებობას.

***– მის შესაძლო წასვლაზე მართლაც აქტიურად საუბრობენ და რა დააშავა კობახიძემ ამისთანა? მარტო იმიტომ უნდა წავიდეს, რომ ფილარმონიაში ხმაური იყო?***

– დაშავებით როგორ არ დააშავა? მან ჩააგდო ის სფერო, რომელიც ჩააბარეს. „ქართულ ოცნებაში“ სფეროები არაფორმალურად არის განაწილებული. ვახტანგ გომელაური კურირებს ძალოვან სტრუქტურებს, მართლმსაჯულების სისტემის დალაგება მურუსიძეს დაევალა. საკონსტიტუციო განხილვები ამ ბავშვმა ჩაიბარა და თქვა, რომ ამას მიხედავდა.

კონსტიტუციასთან დაკავშირებით მას სრული თავისუფლება მისცეს და მის საქმეებში არავინ ერეოდა, მათ შორის გიორგი კვირიკაშვილიც. კობახიძე იღებდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს.

ეს გაგრძელდა მანამ, სანამ „ოცნება“ ფილარმონიაში სახალხოდ არ გააფარჩაკეს. ამას ივანიშვილის სასახლის კარზე არაოფიციალური განხილვები მოჰყვა. ბევრი ითათბირეს თუ ცოტა, დაასკვნეს, კობახიძე შარს გადაგვყრისო და ასპარეზზე მდინარაძე გამოიყვანეს.



***– მდინარაძე რით სჯობია კობახიძეს?***

– მამუკა მდინარაძის სტილი ბევრად მისაღებია. მე სულ ვესწრები განხილვებს. მდინარაძეს მიშა მაჭავარიანის სტილი აქვს აღებული და ასეთ რამეებს ამბობს: კი, კი, მე გეთანხმებით, კომისია შევქმნათ, ჯგუფი შევქმნათ. ხელისუფლება ახლა სიტუაციის დამშვიდებას ცდილობს. მდინარაძე ამ ფუნქციას კარგად ასრულებს. ეს ფუნქცია თავის თავზე ამ დეპუტატს რომ აეღო, ამაში ივანიშვილი კვირიკაშვილმა დაარწმუნა.

ამ თემაზე ჩვენ გვქონდა არაფორმალური საუბარი და ხელისუფლებას ვუთხარით, რომ ფილარმონიის სკანდალი არ მოხდებოდა, რომ არა კობახიძის ტონალობა. პარლამენტის თავმჯდომარის დამსახურებაა, რომ ქვეყნის მთავარი კანონის გარშემო ასეთი კონფრონტაცია შეიქმნა.

ირაკლი კობახიძე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში გაიძახოდა – ე.წ. ოპოზიცია, ე.წ. არასამთავრობოები, ბოლოს კი მთელ თბილისს კომუნისტები ეძახა.

***– ამბობთ, 6 თვე ჰქონდა კობახიძეს ასეთი ტონალობაო. მისი ქმედებები რაღა ახლა ემცხეთა ხელისუფლებას? ეს მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება თუ რაღაც სხვა მიზეზია?***

– ამაზე მეტი რაღა უნდა მომხდარიყო? 3.000 კაცმა გააგდო ფილარმონიიდან „ოცნების“ ლიდერები. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ეს ხალხი თავად ხელისუფლების მიერ იყო მოყვანილი. იქ ჩვენ, ოპოზიციამაც ვიაქტიურეთ, მაგრამ თავიდათავი კობახიძის საქციელი იყო. იმ დღეს ხელისუფლებამ ფიასკო განიცადა.

ასეთი რაღაცები ხელისუფლების შეცვლის წინა პერიოდებში ხდება ხოლმე. „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მეხუთე წელს ხალხმა პირველად დაანახა თავისი ძალა.

***– შემოდგომაზე დაგეგმილ არჩევნებზე თუ შეძლებს ხალხი ხელისუფლებისთვის თავისი ძალის ჩვენებას?***

– არჩევნები ბევრ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ერთიანი დემოკრატიული ცენტრის შექმნაა აუცილებელი. დაქსაქსული ოპოზიცია ვერასდროს დაამარცხებს ავტორიტარულ რეჟიმს.

ყველაზე გაკოტრებულ ხელისუფლებასაც კი შეუძლია არჩევნებზე 25% აიღოს. ხმების ეს მაჩვენებელი მიიღო შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირმა 2003 წლის არჩევნებზე. ამდენ ხმას ცალკე ვერცერთი ოპოზიციური პარტია ვერ აიღებს.

აქედან გამომდინარე, მარტივი ლოგიკაა, რომ ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს პრინციპით ყველა მინუს ერთი. თუ ყველანი რეჟიმის წინააღმდეგ გავერთიანდებით, არჩევნები იქნება საინტერესო.

***– საუბრობენ ამაზე ოპოზიციაში?***

– სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ ჩვენს პარტიას, თავისუფალ საქართველოს აქვს ეს სტრატეგიული ამოცანა გაცნობიერებული. ამ იდეას ხალხსაც ვთავაზობთ და ოპოზიციასაც. სამწუხაროდ, სხვა პარტიები ჩვენს იდეას ძალიან პასიურად უყურებენ.




***– როდესაც ამბობთ, ყველა მინუს ერთი უნდა გავერთიანდეთო, ყველაში ყოფილ ხელისუფლებასაც გულისხმობთ, რომელიც ახლა ოპოზიციაშია?***

– ნაციონალურ მოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“ „ქართული „ოცნების“ კოალიციაში მოვიაზრებ.



ყოფილი ხელისუფლება ახლა დაახლოებით ისეთივე ძალაა, როგორიც შევარდნაძის დროს იყო „აღორძინება“, რომელიც ბოლომდე არ იყო მაშინდელი ხელისუფლების სატელიტი, რადგან შევარდნაძის სრულ კონტროლს არ ექვემდებარებოდა, თუმცა ისინი ერთ ორბიტაზე ტრიალებდნენ.

ლოგიკური იყო, რომ შევარდნაძის დამხობის შემდეგ „აღორძინებაც“ აორთქლდა ქართული პოლიტიკური რუკიდან.

ნაციონალური მოძრაობაც მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ „ქართული ოცნება“ მას უტოვებს პოლიტიკურ ველს. როგორც კი აღარ იქნება „ოცნება“, 2 დღეში აორთქლდება ნაციონალური მოძრაობაც და „ევროპული საქართველოც“. დღეს ისინი მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ ივანიშვილი უქმნის სასათბურე პირობებს.

***– როდესაც ოპოზიციის გაერთიანებაზე საუბრობთ, მერობის ერთიანი კანდიდატების წარდგენა გაქვთ მხედველობაში თუ ერთი საარჩევნო ბლოკის შექმნა?***

– უმჯობესია, რომ ერთი დიდი საარჩევნო ბლოკი შეიქმნას. თუ ამას ვერ შევძლებთ, ერთიან კანდიდატებზე აუცილებლად უნდა შევთანხმდეთ. ეს ამომრჩევლისთვის სერიოზული გზავნილი იქნება.

***– ერთიან კანდიდატებზე ალბათ შეძლებს ოპოზიცია შეთანხმებას.***

– ეს მისაღწევად ბევრად იოლია, ვიდრე ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნა. თუმცა ამ ფორმით მუშაობა ბევრად რთული იქნება.

საქართველოს მართავს ანტისახელმწიფოებრივი, ძალიან ძლიერი ძალა, რომელსაც აქვს 8 მილიარდი, აკონტროლებს 8 ტელევიზიას. მას მხარს უჭერენ პოლიცია, სპეცსამსახური. მოკლედ, უზარმაზარი მონსტრია. მასთან დაპირისპირებისთვის საჭიროა სოლიდური ძალის ჩამოყალიბება. ნახევრად კოალიცია შეიძლება სულ არაფერს სჯობია, მაგრამ შედეგს არ მოიტანს, თანაც ყველამ კარგად ვიცით, თუ რა იქნება ასეთ შემთხვევაში ივანიშვილის კონტრნაბიჯი. ის ყველას მოქრთამვას დაიწყებს, დაწყებული პარტიის ლიდერებიდან დამთავრებული რიგითი აქტივისტებით.

ამას რომ გაუძლოს, ოპოზიციური გაერთიანება უნდა იყოს მყარი, თორემ ხომ გვახსოვს პაატა ბურჭულაძე. მან შარშან შექმნა პარტია. თავიდან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე ივანიშვილმა პატარა ფინანსური ინექცია განახორციელა და დაშლა დაიწყო.

ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეს მძლავრი ოპოზიციური ერთობა. ივანიშვილთან დასაპირისპირებლად მხოლოდ დეკლარაციაზე ხელის მოწერა საკმარისი არ არის.

# „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკური პარტია“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ერთიანი ბლოკით წარდგებიან



„თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკური პარტია“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ერთიანი ბლოკით წარდგებიან.

ამის შესახებ სასტუმრო „ბეტსიში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ორი პარტიის ლიდერებმა შალვა შავგულიძემ და ხათუნა სამნიძემ განაცხადეს.

მათი თქმით, გაერთიანების საფუძველი იდეოლოგიური თანხვედრაა, რომელიც ორივე პროდასავლურ ძალას აერთიანებს.

როგორც შალვა შავგულიძემ აღნიშნა, საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ როდესაც 2011 წელს ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში თავისი მოსვლა გაახმოვანა, მან დასაყრდენად ორი პოლიტიკური ძალა – „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკური პარტია“ გამოაცხადა.

მისივე თქმით, ამ ორმა პარტიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 2012 წლის არჩევნებში კოალიციის გამარჯვებაში.

როგორც შავგულიძემ აღნიშნა, ღირებულებებიდან გადახვევის გამო მათი გზები გაიყარა და „თავისუფალი დემოკრატები და „რესპუბლიკელები“ „ქართული ოცნების“ ოპოზიციას წარმოადგენენ.

– ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ სხვადასხვა ულირსი მეთოდის გამოყენებით მნიშვნელოვანია ზიანი მიაყენა როგორც „რესპუბლიკელებს“, ისე „თავისუფალ დემოკრატებს“, რაც გამოიხატა ჩვენი პარტიის წევრების, მათ შორის ლიდერების დაშანტაჟებაში, გადაბირებაში და სხვა.

მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, ჩვენ ერთგული ვრჩებით ჩვენი მიზნების, ღირებულებების და ვაგრძელებთ ბრძოლას მათ დასაცავად. გაგვაჩნია რა ღირებულებითი ერთიანობა, ამასთან, თანამშრომლობისა და პარტნიორობის მნიშვნელოვანი და საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და „რესპუბლიკელებმა“ გადავწყვიტეთ, რომ ერთიანი საარჩევნო ბლოკის სახით წარვდგეთ თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე. სწორედ თვითმმართველობის არჩევნებიდან დავიწყებთ „ქართული ოცნების“ შეუზღუდავი სახელისუფლებო ძალაუფლების შემცირებას, შევქმნით საფუძველს იმისთვის, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ეს პოლიტიკური ძალა, რომელმაც მოატყუა ქართველი ხალხი, დავამარცხოთ და ჩამოვაცილოთ ხელისუფლებას, – განაცხადა შალვა შავგულიძემ.

ამასთან, პარტიებმა საზოგადოებას შესთავაზეს თავისუფალი სივრცე იმისთვის, რომ აქტიურმა მოქალაქეებმა, საზოგადოების წევრებმა მათთან ერთად მიიღონ მონაწილეობა 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში.

# ედიშერ ქარჩავა: „მტკიცებულებებს მხოლოდ სინოდზე წარმოვადგენ“

## რატომ არ დაუშვეს პროცესზე სახალხო დამცველი

შორენა მარსაგიშვილი

**საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ თავისი სკანდალური განცხადებით ციანიდის საქმე სრულად გადაფარა. წინა დღეს გაკეთებულ განცხადებას მან გუშინ, 30 მაისს, ახალი სკანდალი მოაყოლა.**

მისი თქმით, მას ხელთ აქვს წერილობითი მტკიცებულება, საიდანაც ჩანს, რომ მეუფე პეტრე ილია II-ის პატრიარქის ტახტიდან ჩამოშორებას აპირებდა.

ჟურნალისტებთან საუბარში საპატრიარქოს იურისტი არ აკონკრეტებს, თუ რა გზებით აღმოჩნდა მის ხელში მამხილებელი მტკიცებულება. ის არც წერილის დეტალებზე საუბრობს და მხოლოდ იმას ამბობს, რომ მეუფე პეტრეს არაერთხელ შეუთვალა, რომ მას დედაეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ მოქმედება შეეწყვიტა. ედიშერ ქარჩავა ამ მტკიცებულებების წარდგენას სინოდისთვის აპირებს.

– გამაჩნია მტკიცებულებები და, თუ წმინდა სინოდის წევრები დაინტერესდებიან ამით, მე შემიძლია მტკიცებულებები მათ წარვუდგინო და დავუმტკიცო, რომ ის (მეუფე პეტრე) ებრძვის კათოლიკოს-პატრიარქს, უნდა მისი საპატრიარქო ტახტიდან ჩამოშორება და მისი მოკვდინება. ეს არის წერილობითი მტკიცებულება და ასევე ის ინფორმაცია, რომელიც მე გამაჩნია. საიდან გამაჩნია, ამ ინფორმაციას გავანდობ მხოლოდ და მხოლოდ ეპისკოპოსებს, იმ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც მე მომმართავენ, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

წესითა და რიგით, მას ეს მტკიცებულებები პროკურატურისთვის უნდა წარედგინა. პროკურატურა, თავის მხრივ, მზად არის, ყველა შესაძლო ვერსია გადაამოწმოს.

როგორც პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, დეკანოზის თანამზრახველების გამოვლენაზე გამოძიება გამოყოფილი საქმის ფარგლებში ტარდება.

– არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ გიორგი მამალაძის სავარაუდო თანამზრახველების გამოვლენის მიზნით გამოძიება გრძელდება. გამოყოფილ საქმეში ჩვენ დავკითხავთ ნებისმიერ პირს, რომელიც ფლობს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. გამოძიება ჩატარდება ყველა შესაძლო ვერსიის გადამოწმების კუთხით, – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.

ედიშერ ქარჩავა კი ამბობს, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულება პროკურატურის განსახილველი საქმე არ არის. მას მტკიცებულებები პროკურატურისთვის არ წარუდგენია და არც აპირებს მიმართოს სამართალდამცავ უწყებებს.

– მეუფე პეტრეს შესახებ არსებულ მტკიცებულებებს მხოლოდ წმინდა სინოდი უნდა გაეცნოს და მათვე მიიღონ გადაწყვეტილება, – ამბობს ქარჩავა.

იურისტი არ აკონკრეტებს, გააცნო თუ არა ეს მტკიცებულებები სინოდს, სამაგიეროდ, ამბობს, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადებები მხოლოდ მისი პირადი პოზიციაა და არა – საპატრიარქოსი.

სკანდალის გარეშე არც ციანიდის საქმის განხილვას ჩაუვლია. მოსამართლე ბუგიანაშვილის გადაწყვეტილებით, პროცესი სრულად დაიხურა. მასზე დასწრება სახალხო დამცველმა მოისურვა, მაგრამ მოსამართლემ უჩა ნანუაშვილი სხდომაზე არ დაუშვა.

არადა, ნანუაშვილი ამტკიცებდა, სხდომაზე დასწრების უფლებას სახალხო დამცველს




კანონმდებლობა ანიჭებსო. მოსამართლე კანონმდებლობის მიმართაც შეუვალი აღმოჩნდა.

სასამართლოდან გაძევებული ომბუდსმენის აპარატმა საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– მომეტებული საჯარო ინტერესის გათვალისწინებითა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მიზნით სახალხო დამცველი ეხმიანება „ციანიდის საქმის“ მიმდინარეობას და განმარტავს, რომ დახურულ სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლებას სახალხო დამცველს კანონმდებლობა ანიჭებს. საქართველოს სახალხო დამცველმა უკვე აღნიშნა, რომ „ციანიდის საქმის“ სასამართლო განხილვის დაუსაბუთებლად დახურვა არ ემსახურება მართლმსაჯულების მიმართ საყოველთაო ნდობის ამაღლებას, გამორიცხავს ეფექტიანი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას და არ შეესაბამება არსებულ საპროცესო-სამართლებრივ ნორმებს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს და შეისწავლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, სასამართლო სისტემაშიც. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველს ასევე აქვს უფლება, გაეცნოს საიდუმლო, მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, – აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

ნანუაშვილი შეშფოთებულია იმის გამო, რომ პროცესის სრულად დახურვის შედეგად ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება.

მას ისიც აწუხებს, რომ დაცვის მხარეს კვლავ ეკისრება გაუთქმელობის ვალდებულება. ამის გამო ნანუაშვილი აუცილებლად მიიჩნევს, ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სრული უფლებამოსილებით და პირადად განახორციელოს პროცესის მონიტორინგი.

ომბუდსმენი ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილობითაც მიმართავს.

რაც შეეხება სასამართლოს სხდომას, ის 9 ივნისამდე გადაიდო. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს დეკანოზ გიორგი მამალაძეს დაბადების დღე აქვს.

პროკურორი წიკლაური მამა გიორგის კვლავ საქმის გაჭიანურებას სდებს ბრალად. მისი თქმით, დეკანოზი ყველა გზას იყენებს, რათა საქმის განხილვა გაიწელოს.

– სახაზინო ადვოკატმა განაცხადა, რომ უნდა ჩამოსცილებოდა საქმის განხილვას, ვინაიდან ბრალდებულს უკვე ჰყავს ოთხი აყვანილი ადვოკატი. თუმცა თავად ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი დამატებით საჭიროებდა სახაზინო ადვოკატებს და ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ბრალდებულს სურდა ამ სხდომის გადადება.

მან არ გაუშვა კიდევ ერთი შანსი, რომ გაეჭიანურებინა საქმის განხილვა. მას არ უნდა ნორმალური მართლმსაჯულება, რადგან კარგად იცის, რომ უტყუარი მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე მისი ბრალეულობა დადასტურდება და გიორგი მამალაძე ყველანაირი გზით ცდილობს, თავი აარიდოს მართლმსაჯულებას და პროცესი გააჭიანუროს. წინა სხდომა მან ჩაშალა. დღეს ახალი საბაბი გამოიყენა და ახალი ადვოკატების ჩართვით კიდევ ერთხელ გადადო და გააჭიანურა საქმის განხილვა, – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.

სახაზინო ადვოკატები დეკანოზს მოსამართლემ 17 მაისს დაუნიშნა. მამა გიორგის 2



სახაზინო ადვოკატი ჰყავს. მათ სასამართლოს თვითაცილების შუამდგომლობით მიმართეს. მათი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

ამის შემდეგ სახაზინო ადვოკატებმა საქმის გასაცნობად დამატებით მოითხოვეს დრო. მოსამართლე ბუგიანიშვილმა სხდომა 9 ივნისამდე გადადო.

9 ივნისამდე კი არ არის გამორიცხული, კიდევ რაიმე სკანდალი აგორდეს. ქარჩავა ამბობს, რომ ბევრი რამე იცის. 9 ივნისამდე შესაძლოა საპატრიარქომაც დააფიქსიროს თავისი პოზიცია.

* * *

თეოლოგი ვლადიმერ ნარსია თვლის, რომ ციანიდის საქმესა და ასევე საპატრიარქოს იურისტ ედიშერ ქარჩავას განცხადებებზე საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია უნდა გახდეს ცნობილი. თეოლოგისთვის გაუგებარია, რატომ არ ამბობს პატრიარქი არაფერს ამ საქმეზე, თუკი ის მართლაც არის საქმის კურსში.

– მე დიდ პატივს ვცემ მის უწმინდესობას, ზოგადად ეკლესიას, როგორც ინსტიტუციას და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ეკლესიას წარმოადგენენ თავიანთი ღირსებითა და შესაფერისი განათლებით.

მაგრამ ასეთი მნიშვნელობის საქმეა „ციანიდი“, პატრიარქი რატომ არ აკეთებს განცხადებას, რას უნდა ველოდოთ? – ამბობს ვლადიმერ ნარსია „პირველ რადიოსთან“ საუბრისას.

ნარსია არ გამორიცხავს, რომ პატრიარქს არ აქვს სრული ინფორმაცია. ის ფიქრობს, რომ ედიშერ ქარჩავას განცხადებები რეალურად შორენა თეთრუაშვილის პოზიციის გახმოვანებაა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ იგივე თქვა მეუფე პეტრემაც.

## ნაციონალური მოძრაობის ზონდერი მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძე დააწინაურეს

– რომელიმე თუ გრძნობთ უხერხულობას, ნაციონალური მოძრაობის ზონდერი მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძე რომ დააწინაურეთ გუშინ? – ამ კითხვით მიმართა პარტია „თავისუფა-



ლი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაზე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს.

კახა კუკავამ რიტორიკული კითხვით მამუკა მდინარაძეს მიმართა და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში დანიშნული მოსამართლე „ყოფილი ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებდა“.

აღნიშნული საკითხის გარდა, კახა კუკავამ პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი და ასევე მიწების გასხვისების საკითხი გააკრიტიკა.

## საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ახალი დირექტორი ჰყავს

შინაგან საქმეთა მინისტრმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან საგანგებო თათბირი ჩაატარა და მათ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ახალი დირექტორი წარუდგინა.

შსს-ს ინფორმაციით, გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე ალექსანდრე ხვადაგიანი დანიშნა. შს მინისტრმა მასთან ერთად საპატრულო პოლიციის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა, დავალებები მისცა და წარმატებები უსურვა.– საპატრულო პოლიციაში არსებითი რეფორმა იწყება. ეს ნიშნავს იმას, რომ საკადრო ცვლილებებთან ერთად, რიგი კომპლექსური ღონისძიებები განხორციელდება, რაც საპატრულო პოლიციისთვის ახალი იმპულსი იქნება. ეს ღონისძიებები მოიცავს, ასევე, გადამზადების მასშტაბურ პროგრამას, ახალი სახეების, ახალგაზრდების მო-



ზიდვას და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნამდე ალექსანდრე ხვადაგიანი ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის პოსტს იკავებდა. ხვადაგიანის დანიშვნამდე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გოგა რაზმაძე ხელმძღვანელობდა.




## ყვარელში სკოლის მოსწავლე გარდაცვლილი იპოვეს

ყვარლის მუნიციპალიტეტში მე-10 კლასელი გოგონა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევა სოფელ ახალსოფელში გუშინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## საბურთალოზე მშენებარე კორპუსიდან მამაკაცი გადმოვარდა



საბურთალოზე, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე, მშენებარე კორპუსიდან მამაკაცი გადმოვარდა და დაიღუპა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას. შემთხვევა გუშინ დილით მოხდა.

## თბილისი-რუსთავის გზაზე ავარიის შედეგად ფეხმძიმე ქალი დაშავდა

თბილისი-რუსთავის ავტობანზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს „ბე-ემ-ვე“-სა და „სუზუკის“ მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.

შეჯახების შედეგად „სუზუკის“ მარკის



ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გარეგანათების ბოძს შეეჯახა. შეჯახების შედეგად დაშავდა „ბე-ემ-ვეს“ მძღოლი – ახალგაზრდა ქალი, რომელიც არსებული ინფორმაციით, ფეხმძიმედაა. ის სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ფაქტზე საქმე „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276 მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა. მათივე განმარტებით, შემთხვევის შედეგად მხოლოდ ერთმა ადამიანმა მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანებები.

# ელზა ჯგერენაია: „შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე ერთი ორგანო არ იქნება პასუხისმგებელი“

**მოქმედი კანონმდებლობით, ყველა ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფლად არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობის წინააღმდეგ დაცვის უფლება, ასევე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქვს უფლება, მიიღოს სხვების თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის.**



რამდენად ეფექტურია მოქმედი შრომის კოდექსი, როგორ კონტროლდება დასაქმებულთა უსაფრთხოება და იგეგმება თუ არა შრომის ინსპექციის შექმნა?

დეტალების გასარკვევად „ახალი თაობა“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ელზა ჯგერენაიას ესაუბრა.

**ელზა ჯგერენაია:**

– შრომის კოდექსში 2013 წლიდან დაიწყო პირველი ცვლილებები და ეტაპობრივად უნდა მოხდეს დაახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან. კოდექსში შეტანილი ცვლილებების პირველი ტალღით შეიქმნა ახალი ინსტიტუციები, გაუმჯობესდა დეკრეტული შვებულების ვადები. განისაზღვრა კოლექტიური დავის მომგვარებელი მექანიზმები, შემოვიდა სამმხრივი კომისია, რომელიც სოციალური პარტნიორებით არის დაკომპლექტებული და ა.შ.

უმნიშვნელოვანესია ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება. ეს ეხება 21-ე დანართში განსაზღვრულ დირექტივას, რაც გულისხმობს იმას, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისკრიმინაციის აკრძალვა, თანაბარი შესაძლებლობები და შრომის უსაფრთხოების ნორმები. ყველა ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს 3-9 წლის განმავლობაში. თითოეულ ამ დირექტივას აქვს თავისი დედლაინი და, შესაბამისად, მისი ჰარმონიზაცია უნდა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობასთან.

– ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ამ კოდექსის აღსრულების მექანიზმია.

– საკანონმდებლო ბაზა მომზადებულია და მისი მიღება შრომის კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმს უფრო ეფექტიანს გახდის. 2015 წელს შეიქმნა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის საქმიანობა გარდამავალ ეტაპად შეფასდა.

უმნიშვნელოვანესია, რომ შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე ერთი ორგანო არ იქნება მხოლოდ პასუხისმგებელი და ეს გადანაწილდება სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიაზე, რომელიც უკვე შეიქმნა და დაკომპლექტებულია მთავრობის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებებისგან.

***– შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მიღების შემდეგ როგორ მოხდება ინსპექტირება?***

– კანონი ძალაში შესვლის შემდეგ ინსპექციას მანდატორულს გახდის და შეამოწმებს არა ნებაყოფლობით, წინასწარი ნებართვებისა და შეტყობინებების გზით, არამედ – გეგმურ შემოწმებასთან ერთად, პროაქტიური გზით – შემოსული ზარებით, ცხელი ხაზით, ანონიმური შეტყობინებით.

თუმცა, ყველა კომპანიაში ტოტალური შემოწმება არ მოხდება. პირველ ეტაპზე მაღალი რისკის მქონე საწარმოებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, სადაც უბედური შემთხვევებისა და გარდაცვალების რისკი მაღალია. შემდეგ უნდა მოხდეს შრომის უფლებრივ ნაწილში თანდათან ინსპექტირება. შრომის უსაფრთხოების კუთხით შემოწმდება მძიმე, საშიშპირობებიანი კომპანიები. განსაკუთრებით ეს ეხება სამშენებლო სექტორს, მაღაროებს, შემდეგ კი შემოწმება უკვე მომსახურების სფეროსა და სხვა სფეროში გაგრძელდება.

***– რამდენად ეფექტიანია დღეს არსებული შრომის ინსპექტირების მექანიზმი?***

– დღეს ეს არის პრევენციული ხასიათის. სამწუხაროდ, 2006 წელს არავინ ეცადა შრომის ინსპექციის რეფორმას და კორუმპირებული ბუნების გამო ის გაუქმდა.

საჭირო გახდა კომპეტენტური კადრების მოსამზადებელი ეტაპი. შრომის ბაზარზე არ იყო მათი მოძიების ფუფუნება, ამიტომ გადაწყდა ჯერ კადრების შერჩევა, შემდეგ – მომზადება, რომელიც დღემდე გრძელდება.

მართალია, დღეს კომპანიების შემოწმება ნებაყოფლობითია ანუ თუ კომპანია გამოხატავს სურვილს ან ჩვენს შეთავაზებას დათანხმდება, ამ შემთხვევაში ხდება შემოწმება, მაგრამ კომპანიებისა და დამსაქმებლების მხრიდან დაინტერესება მზარდია.

***– 1 მაისი უნდა იყოს თუ არა დასვენების დღე და ხომ არ დგას დღის წესრიგში ამ ინიციატივის დაყენება?***

– პირველ მაისს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ მშრომელთა სოლიდარობის დღეს და ზოგან დასვენების დღეა. ეს პრაქტიკა ჩვენს ქვეყანასაც ჰქონდა. 2006 წელს მიღებულმა კოდექსმა რამდენიმე დასვენების დღე შეცვალა და განაახლა, მათ შორის 1 მაისიც. რაც შეეხება ინიციატივას, ჩვენი სოციალური პარტნიორის – პროფკავშირების ინიციატივა იყო 7 ოქტომბრის აღნიშვნა, თუმცა ოფიციალურად ამ ინიციატივაზე ჯერ არ დაწყებული მსჯელობა. ცხადია, დამატებითი კონსულტაციები იქნება საჭირო. კონკრეტულად ერთი სამინისტრო არ უნდა იღებდეს ამაზე გადაწყვეტილებას. ეს კომპლექსური საკითხია და გადაწყვეტილება სოციალური დიალოგის ფორმატში უნდა იყოს მიღებული.

**გიორგი საკრული**

# „მათ, ვინც ლარის გაუქმებაზე ოცნებობს“



ეკონომიკის ექსპერტი დავით ასლანიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ეროვნული ვალუტის შესახებ წერს.

– ბოლო რამოდენიმე წელია, რაც საგრძნობლად გააქტიურდა მსჯელობა ლარის, როგორც ვალუტის სისუსტეზე. ადგილი აქვს მოსაზრებას, რომ დროა გადავიდეთ უფრო მყარ სავალუტო ერთეულზე (დოლარი ან ევრო), რომ ლარი მოძველებული პროდუქტია და სხვა. ამ იდეის აპოლოგეტები გვპირდებიან სტაბილურ გარემოს, ინვესტიციების მოზიდვას და რაც მთავარია ინფლაციის მოთოკვას.

ამ მსჯელობაში მავანს არ სურს თვალი გაუსწოროს რეალობას, რომ მსოფლიოში არსებობს არაერთი წარმატებული ეროვნული ვალუტის მქონე სახელმწიფო – მაგალითად ჩეხეთი, პოლონეთი, ისრაელი, სამხრეთ კორეა, დანია და სხვა სახელმწიფოები. აღარაფერს ვამბობთ შვეიცარიაზე, იაპონიასა, დიდ ბრიტანეთსა, ჩინეთსა თუ ავსტრალიაზე.

არცერთი მათგანი არ ცდილობს ჩაანაცვლოს საკუთარი ვალუტა გლობალური სავალუტო ერთეულით, მანამ, სანამ მათ ხელეწიფებათ მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ექსპორტის წახალისება საკუთარი ეროვნული ვალუტით და სწორი ფულად – საკრედიტო პოლიტიკით.

მიუხედავად ამისა, საქართველოს რეალობა სხვაგვარია და რიგი პოლიტიკოსი თუ ეკონომისტი ამ ნაბიჯის გადადგმას და დოლარსა თუ ევროზე გადასვლას დაუყონებლივ მოითხოვს..

ამ მხრივ მიზანშეწონილია განვიხილოთ, თუ რა სავალალო შედეგს გამოიღებს სუსტი ეკონომიკისა და უარყოფითი ექსპორტ-იმპორტის მქონე ქვეყნისთვის ამ ნაბიჯის მოუმზადებლად გადადგმა, რისთვისაც ცხოვრებისეულ მაგალითს – არგენტინას გამოვიყენებთ.

არგენტინას გააჩნია ფულადი არასტაბილურობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია, რომელსაც თან სდევდა ინფლაციის მაღალი მაჩვენებლები, რომლის სიდიდე ზოგჯერ წელიწადში 1.000 პროცენტსაც კი აჭარბებდა. ინფლაციური სპირალის დასრულების მიზნით, არგენტინამ მიიღო გადაწყვეტილება და არგენტინული პესოს კურსი მიაბა აშშ დოლარის კურსს (კურსის ფიქსაცია) – ეს 1991 წლის აპრილში განხორციელდა. ამ მექანიზმს სავალუტო საბჭო ეწოდა, ანუ თუ ჰქონდა სურვილი დოლარის შეძენის – არგენტინის მოქალაქეს შეეძლო მის ხელთ არსებული პესო ან დოლარი ეროვნულ ბანკში დოლარში გადაეცვალა ფიქსირებული კურსით.

საწყისს ეტაპზე ამ მექანიზმმა მართლაც შთამბეჭდავი შედეგი აჩვენა. 1990 წელს არსებული წლიური 800 პროცენტიანი ინფლაცია სულ რამოდენიმე წელიწადში – 1994 წელს – 5 პროცენტამდე დაეცა. ამან ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას, საშუალოდ თითქმის 8% წელიწადში 1991 წლიდან 1994 წლამდე. არგენტინა მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის და რიგი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის თითით საჩვენებელი და სამაგალითო ქვეყანა იყო.

მაგრამ 1994 წელს ლათინური ამერიკის ზოგ ზოგიერთ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ კრიზისს. ის მექსიკაში დაიწყო და მალე მთელ რეგიონს მოედო.

ამ კრიზისის გამო მოსახლეობამ დაიწყო დეპოზიტების ბანკებიდან გამოტანა, რამაც არგენტინის საბანკო სექტორში დეპოზიტების ოდენობა 18% შეამცირა. ამას თან დაერთო არასტაბილურობისა და უნდობლობის განცდა და მოხდა დეპოზიტებისა და ფულადი სახსრების დოლარში გადაცვლის ტემპისა და ოდენობის მკვეთრი ზრდა.

შედეგად, არგენტინაში დაიწყო მძიმე ეკონომიკური კრიზისი, მშპ შემცირდა 5%, ხოლო უმუშევრობის დონე 15%-ს გადასცდა.

მხოლოდ 1996 წელს არგენტინის ეკონომიკა იწყებს აღდგენას. იმის გამო, რომ არგენტინაში მოქმედებდა ფიქსირებული სავალუტო კურსი, მისი ცენტრალური ბანკი, ფაქტობრივად, ვერ ახორციელებდა მონეტარულ პოლიტიკას.

იმის გამო, რომ არგენტინის სავალუტო საბჭომ არ დაუშვა ცენტრალური ბანკის მიერ პესოს ემისია და რესურსის ბანკებზე მიწოდება – ცენტრალურმა ბანკმა ვერ შეძლო ბოლო ინსტანციის მსესხებლის ფუნქციის შესრულება.

ფორსმაჟორული სიტუაციის გამო, არგენტინის ქებაში გართული საერთაშორისო სტრუქტურები დაიძრნენ მის დასახმარებლად – 1995 წელს, საერთაშორისო სააგენტოების, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ინტერამერიკული განვითარების ბანკის დახმარებით, არგენტინა იძულებული გახდა, აეღო 5 მილიარდ დოლარზე მეტი საგარეო ვალი, რათა გადაერჩინა საკუთარი საბანკო სისტემა გაკოტრებისგან, თუმცა ეს მოკლევადიანი ამოსუნთქვა აღმოჩნდა...

1998 წელს დაიწყო ახალი და უფრო ძლიერი ეკონომიკური კრიზისი. 2001 წლისთვის არგენტინაში უმუშევრობამ 20%-ს გადააჭარბა. ამას მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება, საბანკო კრიზისი (რიგი ბანკი გაკოტრდა) და მთავრობის არაერთი ცვლილება.

ეს ყველაფერი ქვეყნის გაკოტრებით ანუ დეფოლტით დაგვირგვინდა, რადგან აღებული წინა და ახალი ვალების მომსახურება ფიქსირებული კურსის გამო არგენტინამ ვერ შეძლო და უარი განაცხადა 150 მლრდ აშშ დოლარის საგარეო ვალის დაფარვაზე.

იმის გამო, რომ სავალუტო საბჭო უკრძალავდა არგენტინის ეროვნულ ბანკს არგენტინის პესოს ემისიას, არგენტინის ცენტრალურ ბანკს არ გაჩნდა ფულადსაკრედიტო ბაზარზე მოქმედების ქმედითი საშუალება. მას არ შეეძლო მონეტარული პოლიტიკის გამოყენება ეკონომიკის გაფართოებისა და მისი კრიზისიდან გამოყვანა.

შედეგმა არ დააყოვნა – 2002 წლის იანვარში არგენტინის სავალუტო საბჭოს მექანიზმი საბოლოოდ ჩამოინგრა და არგენტინული პესო 70% -ით მეტი გაუფასურდა. ამას მოჰყვა არგენტინაში სრულმასშტაბიანი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც აწ უკვე 15 წელია მძვინვარებს ქვეყანაში და ხასიათდება – ჰიპერინფლაციით, ეკონომიკური დეპრესიითა და ეკონომიკის ვარდნით.

ამ მხრივ გავიხსენოთ 2014-2016 წწ საქართველოს გარშემო სიტუაცია – აშშ დოლარის გლობალური განმტკიცება, თურქეთის კრიზისი და ლირის დევალვაცია, რუსეთის ვალუტის დევალვაცია, უკრაინის სავალუტო კრიზისი, აზერბაიჯანის საბანკო სისტემის პრობლემები და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თუ რა გველოდა, რომ ჩვენ ამ კრიზისს ლარის ფიქსირებული კურსით დოლარზე თუ ევროზე (ან თუნდაც პირდაპირ დოლარით ან ევროთი) დავხვედროდით, – წერს ასლანიშვილი.


bp

ბი პი ექსპლორეიშნ (კასპიის ზღვა) საქართველო გეგმავს გამოაცხადოს ტენდერი საგზაო ტრანსპორტის მართვის მომსახურების გაწევაზე:

- პროფესიული მძღოლების მოწოდება, ტრეინინგებისა და კომპეტენციის შეფასების უზრუნველყოფა
- ავტოტრანსპორტით მომსახურება და/ან ქირავნობა ქალაქის მასშტაბით, დიდ მანძილებზე და უგზოობის პირობებში სამოძრაოდ
- ავტოტრასპორტის მოვლა/შეკეთების დაგეგმვა, კოორდინაცია, შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მწარმოებელთა რეკომენდაციების შესაბამისად
- ტრანსპორტის ქოლ ცენტრის/მგზავრობის დაგეგმარების და კოორდინაციის, ტრანსპორტის დროული მიწოდების მენეჯმენტი
- სატრასპორტო საშუალებების შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: დაზღვევა, რეგისტრაცია, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწვავის საბარათე სისტემის უზრუნველყოფა, ინვენტარი, მანქანის რეცხვა, პარკირება, მოძრაობის ჯარიმების გადახდა, და ა.შ.
- ბი პი-ს საკუთრებაში მყოფი, თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა მანქანის შიდა მონიტორინგის სისტემით (IVMS)

**დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა შემდეგ ელ ფოსტის მისამართზე:arveladm@bp.com ან კომპანიის ოფისის მისამართზე; თბილისი, სულხან ცინცაძის 24, კონტრაქტების განყოფილების უფროსის მაკა არველაძის სახელზე. მოწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 5 ივნისი.**

# საქართველოდან გაუჩინარებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ბაქოში აღმოჩნდა

## აფგან მუხთარლი თბილისიდან სპეცსამსახურებმა გაიტაცეს?



საქართველო შეიძლება სკანდალში გაეხვიოს.

საქმე ეხება აზერბაიჯანელ ჟურნალისტ აფგან მუხთარლის გაუჩინარებას, რომელიც 2015 წლიდან თბილისში ცხოვრობს.

თბილისში ჟურნალისტი ბოლოს 29 მაისს, დაახლოებით 19:00 საათზე ნახეს. ის დაემშვიდობა თავის მეგობარს, რომელსაც ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფეში შეხვდა, დაურეკა მეუღლეს და უთხრა, რომ მალე მივიდოდა სახლში.

ამის შემდეგ ის აღარავის უნახავს. ჟურნალისტს მობილურიც გამორთული ჰქონდა.

გუშინ, 30 მაისს, აფგან მუხთარლის მეგობრებმა და მეუღლემ პრესკონფერენცია გამართეს. მათ გამოთქვეს ვარაუდი, რომ აფგან მუხთარლი აზერბაიჯანულმა სპეცსამსახურებმა გაიტაცეს.

როგორც მისმა მეგობარმა, დაშგინ აღალარლიმ, განაცხადა, აფგან მუხთარლი საქართველოში მუშაობდა საგამოძიებო მასალაზე, რომელიც აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ქონებას ეხებოდა როგორც საქართველოში, ასევე ოფშორულ ზონებში.

– ის ძალიან აქტიური ჟურნალისტი იყო და, სავარაუდოდ, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მასში საფრთხე დაინახა, – განაცხადა დაშგინ აღალარლიმ.

მას არ უნდა იფიქროს, რომ ამაში საქართველოს სპეცსამსახურებიც არიან ჩართული, თუმცა აღნიშნა, რომ საეჭვო იყო, მათ ვერ შეემჩნიათ ეს ყველაფერი.

ჟურნალისტის მეუღლე ლეილა მუსტაფაევამ კი აღნიშნა, რომ მის მეუღლეს უთვალთვალებდნენ. მისივე თქმით, კომპანია „სოკარში“ არიან ადამიანები, რომლებიც ჟურნალისტს უთვალთვალებდნენ.

– მას რომ რაიმე დაემართოს, ეს იქნება საერთაშორისო სკანდალი და ამაში დამნაშავე იქნება საქართველოს მთავრობაც, – აღნიშნეს ჟურნალისტის მეგობრებმა.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ ინფორმაციით, აფგან მუხთარლი აზერბაიჯანიდან დევნილი საგამოძიებო ჟურნალისტი და აქტივისტია, რომელიც ღიად გამოხატავდა აზერბაიჯანის მთავრობის წინააღმდეგ მოსაზრებებს. 2015 წლის იანვრიდან ის საქართველოში მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს.

გუშინ გვიან საღამოს აფგან მუხთარლი ბაქოში გამოჩნდა.

ამის შესახებ სააგენტო „თურანს“ მისმა ადვოკატმა ნეიმატ ქერიმლიმ განუცხადა.

– აფგანმა დამირეკა და შემატყობინა, რომ სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ცენტრალურ განყოფილებაში იმყოფება და ახლა იქ მივემგზავრები, – განმარტა ადვოკატმა.

მან მუხთარლის აზერბაიჯანში საიდუმლოდ გადაყვანას მოტაცება და საერთაშორისო ნორმების დარღვევა უწოდა. მისი თქმით, საქართველოს მისი გადაცემის უფლება არ უნდა მიეცა, რადგან, საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, თუკი ადამიანს სამშობლოში დაპატიმრება ემუქრება, ის გადაცემას არ ექვემდებარება.

ამ დროისთვის უცნობია, როგორ აღმოჩნდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ბაქოში.

# დემირელის კოლეჯის მენეჯერის დაკავება

## ჩაბუქის ოჯახი ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას ითხოვს

თურქული მხარის მოთხოვნით, საქართველოში დაკავებული დემირელის კოლეჯის მენეჯერის მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატები და ოჯახი ლტოლვილის სტატუსი მიენიჭებას ითხოვს.

როგორც ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განაცხადა, ლტოლვილის სტატუსი ჩაბუქის ექსტრადირების პროცესს შეაჩერებს.

ადვოკატების თქმით, ჩაბუქის ტერორიზმთან კავშირი აბსურდია. ბარათაშვილის განცხადებით, საქმეში ტერორისტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არსებობს.

– ბრალდება არის დაუსაბუთებელი. ბრალდების თანახმად, დანაშაული მოხდა 2017 წლის თებერვალში და ბატონ ჩაბუქს არ ედება ბრალი არანაირ გადატრიალებაში. თურქული მხარის თვალსაზრისით დანაშაული დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა საქართველოში. ბრალის თანახმად, ჩაბუქს კავშირი ჰქონდა ამერიკაში რეგისტრირებულ კომპანიასთან. როგორ არის ეს საკითხი თურქეთთან



კავშირში და რა საფუძვლით ითხოვენ ექსტრადიციას, ეს არის სრულიად აუხსნელი და გაუგებარი.

მივმართავთ ყველა ხერხს, რომ არ მოხდეს ექსტრადიცია, ვინაიდან საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის, მოსახლეობისა და ხელისუფლების ღირსებას. თუ უდანაშაულო ადამიანს გავწირავთ წამებისა და არაადამიანური მოპყრობისთვის, ეს იქნება ძალიან დიდი სირცხვილი, – განაცხადა ბარათაშვილმა.

საქართველოს ხელისუფლების დახმარების იმედი აქვს მუსტაფა ემრე ჩაბუქის მეუღლეს. თუბა ჩაბუქმა არასამთავრობო ორგანიზაციებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

იმედი გვაქვს, რომ საქართველო ლტოლვილის სტატუსს მოგვანიჭებს. წლების განმავლობაში საქართველოში ვცხოვრობთ და ნამდვილად არ გაგვიჭირდება ცხოვრების აქ გაგრძელება. უნდა შევიტანოთ თავშესაფრის მოცემაზე განაცხადი და იმედი გვაქვს, საქართველოს მთავრობა უარს არ გვეტყვის, – განაცხადა თუბა ჩაბუქმა.

ჩაბუქის საქმის ირგვლივ Amnesty International _ ic ავრცელებს განცხადებას. ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ თურქეთში ჩაბუქი, შესაძლოა, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან ადამიანის უფლებათა სხვა სერიოზული დარღვევების მსხვერპლი გახდეს. ამიტომ Amnesty International მოუწოდებს საქართველოს, დაკავებული თურქეთს არ გადასცეს.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წარმომადგენლის თამთა მიქელაძის განცხადებით, მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადიცია თურქეთში დაუშვებელია, გამომდინარე იქიდან, რომ ეს დაარღვევს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, რადგან ჩაბუქი თურქეთში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, პოლიტიკური დევნის მსხვერპლი შეიძლება გახდეს.

– მოცემულ საქმეს აქვს პოლიტიკური განზომილება, რადგან მუსტაფა ემრე ჩაბუქის დაკავება მოხდა მას შემდეგ, რაც საქართველოს თურქეთის პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წარმომადგენლები ეწვივნენ. სისხლის სამართლის საქმის მასალებს გავეცანით და საქმე აშკარად დაუსაბუთებელია. საქმეში პირდაპირ არის მითითებული, რომ დემირელის კოლეჯი ისევე, როგორც ის ორგანიზაცია, რომლისთვისაც წილების მიყიდვა უნდა განხორციელებულიყო, არის ტერორისტული ორგანიზაცია.

რაიმე დასაბუთება ამაზე საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი. საქართველოს მთავრობის მხრიდან საექსტრადიციო პროცედურის დაწყება არის პოლიტიკური ლოიალობა ერდოღანის არადემოკრატიული და ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის მიმართ, რომელიც ჩვენი შეფასებით, არის, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებების არასწორი გააზრება და მეორე მხრივ, ღია ლოიალობა და პოლიტიკური უპრინციპობა, – განაცხადა თამთა მიქელაძემ.

25 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დემირელის კოლეჯის ერთ-ერთ მმართველს, მუსტაფა ემრე ჩაბუქს 3-თვიანი წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა.

მუსტაფა ემრე ჩაბუქი ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბრალდებით 24 მაისს დააკავეს. ჩაბუქის დაკავებას წინ საქართველოში თურქეთის პრემიერის ვიზიტი უძღოდა.

# „პროკურატურას უნდობლობას ვუცხადებთ!

დაღუპული ბავშვების ოჯახის წევრები სამართალდამცავებს პედაგოგების მფარველობაში ადანაშაულებენ, პროტესტის ნიშნად კი შიმშილობას იწყებენ.

2 წლის წინ ქობულეთში, სასტუმროში გაჩენილი ხანძრის შედეგად გარდაცვლილი ბავშვების მშობლები პროკურატურასთან შიმშილობის დაწყებას გეგმავენ.

როგორც 30 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე ტრაგიკულად დაღუპულთა მშობლებმა განაცხადეს, ისინი მომხდარის ხელახალ გამოძიებას, მათ შორის, ცხედრების ექსჰუმაციას ითხოვენ.

ამასთან მათი თქმით, არ სჯერათ ვერსიის, რომლის მიხედვითაც სასტუმროს ერთ-ერთმა მფლობელმა ზაზა ართმელიძემ თავი საკუთარი გადაწყვეტილებით მოიკლა.

– არადამაჯერებელია ჩვენთვის ამ ადამიანის თვითმკვლელობა. ადამიანმა თითქმის მილიონნახევრიანი ქონება დაკარგა, 3 არასრულწლოვან ბავშვთან ერთად, ამაზე მეტი უბედურება რა უნდა დაატყდეს ადამიანს?! რატომ მაშინ არ მოიკლა თავი? იძულებული გახადეს და თვითმკვლელობამდე მიიყვანეს, – აცხადებენ მშობლები.

რაც შეეხება უშუალოდ მოზარდების გარდაცვალების საქმის გამოძიებას, მშობლები ირწმუნებიან, რომ სამართალდამცველები ხელს აფარებენ პედაგოგებს, ვინც ბავშვების მიმართ უყურადღებობა გამოიჩინეს.

– უნდობლობას ვუცხადებთ აჭარის პროკურატურას და სასამართლოს. მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს ვთხოვთ, სამი დღის განმავლობაში მიგვიღოს და ექსჰუმაციიდან დაწყებული, თავიდან გამოიძიონ ეს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახთან ერთად პროკურატურასთან შიმშილობას დავიწყებ, – განაცხადა ხანძრის შედეგად დაღუპული თორნიკე ხვიჩიას მამამ ელგუჯა ხვიჩიამ.

ქობულეთში მდებარე სასტუმრო „არმაზის“ ერთ-ერთი მფლობელი ზაზა ართმელიძე გარდაცვლილი გუშინ იპოვეს.

გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წელს 10 მაისს ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ზაზა ა-ს კუთვნილ „ხასანას“ სასტუმროში ხანძარი გაჩნდა.

ამ დროს სასტუმროში იმყოფებოდნენ რუსთავის ქორეოგრაფიული ანსამბლ „სიხარული-2“-ის წევრები, მათ შორის არასრულწლოვნები, რომელთაგანაც სამი ადგილზე დაიღუპა.

ქობულეთის რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა და მაშველებმა ალმოდებული შენობიდან 45 ადამიანი, მათ შორის, 30 მოზარდი, გამოიყვანეს.

გამოძიების ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში დაინიშნა სხვადასხვა სახის კომპლექსური ექსპერტიზა. საინჟინრო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ სასტუმროში დარღვეული იყო სამშენებლო ნორმები და წესები, ხოლო სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ხანძრის გაჩენა დაკავშირებული იყო ელექტროტექნიკურ გაუმართაობასთან. აღსანიშნავია, რომ ცეცხლის კერა მდებარეობდა იმ ოთახში, სადაც გარდაცვლილი მოზარდები იმყოფებოდნენ.

# ანა დოლიძე: „სასამართლო სხდომაზე სახალხო დამცველის უფლება დაირღვა“

– სასამართლო სხდომაზე დაირღვა სახალხო დამცველის უფლება.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებულ საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ანა დოლიძის შეფასებით, სასამართლო სხდომაზე სახალხო დამცველის არდაშვება სახალხო დამცველის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა და დარღვევაა.




– სახალხო დამცველის კონსტიტუციური ვალდებულებაა, რომ დაიცვას მოქალაქეთა უფლებები, აქედან გამომდინარე, მას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი უფლებები. როცა სასამართლო სხდომაზე ირღვევა სახალხო დამცველის უფლება, ეს ძალიან სერიოზულ კითხვას აჩენს, კონკრეტულად ამ საქმესთან დაკავშირებით, ისევე, როგორც სასამართლო ხელისუფლების მუშაობის საჯაროობასთან და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, – განაცხადა ანა დოლიძემ.

უჩა ნანუაშვილს მოსამართლემ „ციანიდის საქმის“ განხილვაზე დასწრების უფლება არ მისცა.

# ადვოკატი: „სახელმწიფოს მხრიდან ზაზა ართმელაძის ოჯახზე ზეწოლა მიზანმიმართულად მიმდინარეობს“

– სახელმწიფოს მხრიდან ზაზა ართმელაძის ოჯახზე ზეწოლა მიზანმიმართულად მიმდინარეობს.

ამის შესახებ ზაზა ართმელაძის ოჯახის ადვოკატმა თეიმურაზ ქავშბაიამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა. მისი თქმით, ზაზა ართმელაძის მიერ დატოვებული წერილით დასტურდება, რომ საქმეზე გამოძიება ობიექტურად არ მიმდინარეობდა.

– ზაზა ართმელაძის წერილი, რომელიც ოჯახის წევრებმა იპოვეს, პირდაპირ მიუთითებს, რომ მისი ოჯახის მიმართ ზეწოლაა, როგორც სისხლის სამართლის საქმეში, ასევე სამოქალაქო წარმოების დროს. საგამოძიებო მოქმედებები როდესაც ხორციელდებოდა, ჩვენ სამართლიან გამოძიებას ვითხოვდით. რეალურად, ეს ადამიანი და ოჯახი გაწირეს. სახელმწიფო მათ დისკრედიტაციას ეწევა, – აცხადებს თეიმურაზ ქავშბაია.

ქობულეთში სასტუმრო „არმაზის“ მფლობელმა გუშინ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მეზობლები გარდაცვალების მიზეზად ფინანსურ პრობლემებს ასახელებენ.




# უკრაინაში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი ლევან მირცხულავა დააკავეს



უკრაინული მედიის ინფორმაციით, 28 მაისს ოდესის პოლიციის თანამშრომლებმა ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი ლევან მირცხულავა დააკავეს. აღნიშნულის შესახებ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ოდესის ოლქის ეროვნული პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელმა დმიტრი გოლოვინმა დაწერა.

მისი თქმით, 29 წლის მამაკაცი, რომელიც ქალაქში არალეგალურად იმყოფებოდა, ოდესაში ეთნიკური კრიმინალური ჯგუფების გაკონტროლების მიზნით ჩამოვიდა.

როგორც ოდესის პოლიციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება მისი გაძევების შესახებ, უკრაინაში შემოსვლის შემდგომი აკრძალვით.

# მოლდოვიდან 5 რუსი დიპლომატი გააძევეს



მოლდოვიდან 5 რუსი დიპლომატი გააძევეს. აქედან ერთ-ერთი რუსეთის სამხედრო ატაშეს მოადგილე გრიდინია.

ყველა გაძევებულს რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ედება ბრალი.

– რუსეთი ასეთ თავხედობას რეაგირების გარეშე არ დატოვებს, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კარასინმა.

მოლდოვის პრეზიდენტმა დოდონმა, რომელიც პრორუსული ორიენტაციითაა ცნობილი, განაცხადა:

– რუსი დიპლომატების გაძევება პარლამენტში ჯერჯერობით არსებული პროევროპული უმრავლესობის ინტრიგებია! მათ სურთ ის პოზიტივი მოშალონ, რასაც რუსეთთან მე და ჩემმა გუნდმა მივაღწიეთ.

მოლდოვის მოსახლეობის 45% ევრაზიულ კავშირში შესვლის მომხრეა, 44% მხარს ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს.

# მაკეინი: „პუტინი უფრო სერიოზული საფრთხეა, ვიდრე ისლამური ტერორიზმი“



სენატორი მაკეინი ავსტრალიას ესტუმრა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერია. ამერიკის სენატიც შეეცდება, რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები შემოიღოს.

მაკეინმა შენიშნა, რომ პუტინი ცდილობს, ამჟამინდელი საერთაშორისო წესრიგი შეცვალოს. რუსეთის პრეზიდენტი არაფერს ერიდება. მან დაიპყრო ყირიმი, გააჩაღა ომი დონბასში, შეეცადა, საფრანგეთის და აშშ-ის არჩევნებში ჩარეულიყო.

– პუტინი უფრო სერიოზული საფრთხეა, ვიდრე ისლამური ტერორიზმი, – ამბობს მაკეინი.

# ტერაქტი ბაღდადში

ბაღდადის ცენტრში კაფესთან აფეთქება მოხდა. დაიღუპა 10, დაშავდა 22 ადამიანი.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

მომხდარის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.



# უკრაინის უშიშროებამ „იანდექსის“ ოფისში ჩხრეკა ჩაატარა




უკრაინის უშიშროების სამსახურმა „იანდექსის“ კიევისა და ოდესის ოფისებში ჩხრეკა ჩაატარა. შედეგად ამოღებულია მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ „იანდექსის“ თანამშრომლები თავიანთი მომხმარებლების შესახებ ცნობებს უკანონოდ აგროვებდნენ და მათ რუსეთის სპეცსამსახურებს გადასცემდნენ.

ამას რუსები სადაზვერვო და ტერორისტული საქმიანობისთვის იყენებდნენ.

„იანდექსის“ ხელმძღვანელობა წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს.

# აშშ უკრაინის გამო რუსეთთან ურთიერთობებს გადატვირთავს



აშშ-მ შესაძლოა უკრაინის გამო რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვა მოახდინოს. ამის თაობაზე სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა. ამით მან დაადასტურა „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული მასალა, სადაც საუბარია დონბასის მიმართულებით აშშ-ის მოქმედებების მომავალ გააქტიურებაზე.

ამავე დროს, „ამერიკის ხმის“ ცნობით, ტრამპის ადმინისტრაციაში არიან პიროვნებები, რომლებიც დონბასის მიმართულებით გააქტიურებას სკეპტიკურად უყურებენ. მათი აზრით, ეს არაფერს მოიტანს, განსაკუთრებით დღეს, როცა მიმდინარეობს გამოძიება აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევის გამო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გენერალი ნორიეგა გარდაიცვალა

83 წლის ასაკში გარდაიცვალა პანამის ყოფილი დიქტატორი, გენერალი მანუელ ნორიეგა.




ის თავის დროზე არმიის სარდალი და გენერალური შტაბის უფროსი იყო. ნორიეგა პანამის მმართველი გახლდათ. თავდაპირველად ის ამერიკელების მოკავშირე იყო, შემდეგ პოზიცია შეიცვალა და კურსი მოსკოვთან დაახლოებისკენ აიღო. ნორიეგა ჩაბმული იყო იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში. ხელისუფლებაში ყოფნისას ის სასტიკად გაუსწორდა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს, უხეშად დაარღვია ადამიანის უფლებები.

1989 წელს ამერიკის არმია პანამაში შეიჭრა. გენერალი ნორიეგა დაამხეს. დიქტატორი ჩადენილ დანაშაულებათა გამო გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ასე დასრულდა მისი პოლიტიკური კარიერა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ივანკა ტრამპისა და ჯარედ კუშნერის „რომაული არდადეგები“

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ქალიშვილის ივანკას და მისი მეუღლის ჯარედ კუშნერის „რომაულ არდადეგებზე“ გამოაქვეყნა მასალა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის პირველი საერთაშორისო ტურნეს დროს ივანკამ და მისმა მეუღლემ გარკვეული დროით განმარტოვება მოახერხეს.



კერძოდ, ქვეყნის მეთაურის ქალიშვილმა და მისმა მეუღლემ რომის ცენტრში მდებარე პანთეონის დახურული დათვალიერება მოუწყვეს. ივანკა და ჯარედი ხალხს უღიმოდნენ და ხელს უქნევდნენ გამვლელებს, რომელთაგან წინაღობით იყვნენ გამოყოფილნი.

ზოგიერთი მონაცემით წყვილმა პანთეონი მოგვიანებით დატოვა, ვიდრე ეს იყო დაგეგმილი. ამის ზუსტი მიზეზი უცნობია და, სავარაუდოდ, ის მათი მანქანის უსაფრთხოებას შეეხებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადება

2017 წლის 24 ივლისს, 12 საათზე. ქ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქუჩა №11) გაიმართება შპს „ა.ა.ბ. პროექტის საქართველოს ფილიალის“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ.არაგვაში დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქ. ახალქალაქი, სოფ. არაგვა, კომპანიის ოფისი, ტელ.: 599-88-55-92.

საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი – დავით მაყაშვილი. ტელ.: 599-70-80-55.

**ადმინისტრაცია**



# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორიო) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..
- ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველო მსოფლიოს ეპიცენტრია
# მსოფლიო თასი დღეს იწყება

დღეიდან 18 ივნისამდე საქართველოს 2 ქალაქი, თბილისი და ქუთაისი, მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს. ასეთი დონის ტურნირებით საქართველოში განებივრებული ნამდვილად არ ვართ. პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი შეჯიბრება საინტერესო იქნება.

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი მსოფლიო რაგბის მიერ ორგანიზებულ ტურნირებს შორის მნიშვნელობით მე-2 ადგილზეა (მსოფლიო თასის შემდეგ) და წელს მეათედ გაიმართება.

ტურნირი პირველად 2008 წელს, 19 და 21-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატების გაერთიანებით დაარსდა და თავდაპირველად მასში 16 გუნდი მონაწილეობდა, 2010 წლიდან კი მონაწილეთა რაოდენობა 12-მდე შემცირდა, რამაც მისი დონე აამაღლა. 2008 წლიდან დაარსდა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ალაფაც, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობს და გამარჯვებული 20-წლამდელთა ჩემპიონატში ბოლოადგილოსანი ნაკრების ადგილს იკავებს.

პირველ ტურნირს უელსმა უმასპინძლა და გამარჯვებული ახალი ზელანდია – ჯუნიორ ოლ ბლექსი გახდა, რომელმაც ფინალში ინგლისი 38:3 დაამარცხა.

2009 წელს იაპონიაში პირველობა კვლავ ახალ ზელანდიელებს დარჩათ და ამჯერადაც ინგლისი დაამარცხეს – 44:28.

2010 წელს მონაწილეთა რაოდენობა 12-მდე შემცირდა და ტურნირს არგენტინამ უმასპინძლა, ჩემპიონი კი ისევ ახალი ზელანდია გახდა, რომელმაც ავსტრალია 62:17 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ საწყის 3 გათამაშებაში მე-3 ადგილზე სამხრეთ აფრიკა გავიდა.

2011 წელს იტალიაში გამართულ ტურნირზე ინგლისი ფინალში დაბრუნდა, თუმცა იქ კვლავ ჯუნიორ ოლ ბლექსი ელოდა და გამარჯვება ისევ ახალ ზელანდიას დარჩა – 33:22.

2012 წელს 20-წლამდელთა ჩემპიონატს სამხრეთ აფრიკამ უმასპინძლა და ჯუნიორ ოლ ბლექსის ჰეგემონია დაემხო. ფინალში ერთმანეთს მასპინძლები და ჩემპიონები შეხვდნენ და გამარჯვება აფრიკელებს დარჩათ – 22:16.

2013 წელს ტურნირს საფრანგეთმა უმასპინძლა და 20-წლამდელთა ჩემპიონატი პირველად მოიგო ევროპულმა გუნდმა – ინგლისმა ფინალში უელსი 23:15 დაამარცხა. ახალი ზელანდია პირველად დარჩა მედლების გარეშე. მას ბრინჯაოს მატჩში სამხრეთ აფრიკამ აჯობა.

მომდევნო წელს ინგლისმა ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა და ეს ახალ ზელანდიაში მოახერხა. გადამწყვეტ მატჩში ევროპელებმა სამხრეთ აფრიკას მინიმალური სხვაობით სძლიეს – 21:20.

2015 წელს ჯუნიორ ოლ ბლექსმა ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მან ინგლისი 21:16 დაამარცხა.

2016 წლის მანჩესტერის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე პირველად ითამაშა საქართველოს ნაკრებმა. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა სადებიუტო მატჩი ახალ ზელანდიასთან დათმეს, უელსსა და ირლანდიას კი დიდი ბრძოლა გაუმართეს. უელსმა მინიმალური სხვაობით მოიგო (10:9), ირლანდიასთან მატჩის დებიუტში მოედანზე კაცნაკლული დავრჩით, მაგრამ 14 ქართველი არ გატყდა და მეტოქემ მხოლოდ მატჩის მიწურულს მოახერხა პრემიალური ქულის აღება (35:7).

მე-9 ადგილის ნახევარფინალში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა იტალიას 18:17 სძლიეს და სპორტულადაც მოიპოვეს წელს საქართველოში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური, ხოლო მე-9 ადგილისთვის მატჩში საფრანგეთთან მხოლოდ 3 ქულით, 24:27 წააგეს.

შარშან ჩემპიონი ინგლისი გახდა, რომელმაც ირლანდია 45:21 დაამარცხა. მომავალი ჩემპიონატის ჯგუფში უმცროსი ბორჯღალოსნების მეტოქეებმა – არგენტინამ და სამხრეთ აფრიკამ მესამე ადგილისთვის ითამაშეს და არგენტინელებმა 49:19 მოგებით 20-წლამდელთა ჩემპიონატზე პირველად მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები.

ამრიგად, აქამდე გამართულ 20-წლამდელთა 9 ჩემპიონატიდან 5 ახალმა ზელანდიამ მოიგო, 3 – ინგლისმა და 1 სამხრეთ აფრიკამ. ფინალში 4-ჯერ დამარცხდა ინგლისი (ოთხჯერვე ახალ ზელანდიასთან) და თითო-თითოჯერ ავსტრალია, ახალი ზელანდია, უელსი, სამხრეთ აფრიკა და ირლანდია. მესამე ადგილზე 5-ჯერ გავიდა სამხრეთ აფრიკა და თითო-თითოჯერ ავსტრალია, უელსი, ახალი ზელანდია და არგენტინა.

გასული 9 წლის განმავლობაში 20-წლამდელთა ჩემპიონატში სულ 18 ქვეყნის ნაკრებს უთამაშია.

ახლა კი მომავალ ჩემპიონატს მივხედოთ და გთავაზობთ ინფორმაციას მონაწილე გუნდების შესახებ.



## ა ჯგუფი: ინგლისი, ავსტრალია, უელსი, სამოა

### ინგლისი

გასული წლის ჩემპიონს ტურნირზე პირველი განთესვა აქვს. ინგლისელები სულ 3-ჯერ გამხდარან ჩემპიონები და ეს ბოლო 4 წელიწადში მოახერხეს – 2013, 2014, 2016. როგორც ხედავთ, მხოლოდ 2015 წელი გამოტოვეს. არადა, პირველ ჩემპიონობამდე ყველაზე უარესი შედეგი აჩვენეს – მეშვიდე ადგილი 2012 წელს.

სულ მსოფლიო თასზე 45 თამაში ჩაატარეს, საიდანაც 35 მოიგეს და 10 წააგეს, აიღეს 1.505 ქულა და 186 ლელო. ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრებმა ითამაშა ყველაზე მეტი ფინალი – 7. მეტი, ვიდრე 5-გზის ჩემპიონმა ახალმა ზელანდიამ.

**მწვრთნელი:** ლუის დიქონია, კაპიტანი – ზექ მერსერი. სწორედ მას უნდა დავაკვირდეთ ამ მსოფლიო თასზე.

მერსერს არ გაუმართლა და ეროვნულ ნაკრებთან ერთად არგენტინულ ტურნეზე არ მიემგზავრება. ზაკი შთამბეჭდავი იყო 2017 წლის 20-წლამდელთა 6 ერზე, ხუთივე თამაში სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, ლელოები დაუდო იტალიას, უელსსა და შოტლანდიას, ხოლო დუბლინში მოგებულ შეხვედრაში ის გუნდის კაპიტანი იყო. ინგლისმა 20-წლამდელთა 6 ერი „გრანდ სლემით" მოიგო, ხოლო ზაკ მერსერი რაგბის ასოციაციამ მაისის დასაწყისში 2017 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მორაგბედ დაასახელა.

მერსერი შეუჩერებელი 8 ნომერია, სწრაფი ფეხებითა და კიდევ უფრო სწრაფი ხელებით. ზაკისთვის ეს მეორე 20-წლამდელთა ჩემპიონატია. 20 წელი ტურნირის დასრულებიდან რამდენიმე დღეში უსრულდება.

### ავსტრალია

მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები ტურნირზე მე-6 განთესვით იქნებიან. საუკეთესო შედეგისთვის 2010 წელს მიუღწევიათ, როდესაც ფინალში გავიდნენ და ახალ ზელანდიასთან დამარცხდნენ. უარესი შედეგი კი მე-8 ადგილია (2012). სულ მსოფლიოზე 45 თამაში ჩაატარეს – 27 მოგება, 18 წაგება. მოიპოვეს 1.439 ქულა, დადეს 202 ლელო.

**მწვრთნელი:** საიმონ ქრონი, კაპიტანი – რის ჰიუეთი.

ავსტრალიელთაგან უნდა დავაკვირდეთ ჰენრი ჰაჩინსონს. ის ახალი მორაგბეა 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის, მაგრამ არა საერთაშორისო რაგბისთვის: 2015 წლის დეკემბერში კეიპტაუნში 17 წლის ასაკში დებიუტი ჰქონდა 7-კაცა რაგბის მსოფლიო სერიებში. ძალიან სწრაფი მორაგბე პირველსავე სეზონში აღმოჩენად იქცა, 27 ლელო დაამიწა და წლის საუკეთესო ახალბედას ტიტული დაისაკუთრა. მომავალმა ოლიმპიელმა მეორე სეზონში 25 ლელო მიითვალა. ჰაჩისონი გუნდს საქართველოში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე შეუერთდა და საინტერესო იქნება იმის ხილვა, რამდენად სწრაფად შეძლებს 7-კაცადან 15-კაცა რაგბიზე გადართვას.

### უელსი

ტურნირზე უელსელები მე-7 განთესვით არიან, საუკეთესო შედეგი კი მეორე ადგილი აქვთ (2013), ხოლო უარესი – მე-7 (2010, 2011, 2014). მსოფლიოზე 45 თამაში: 27 მოგება, 18 წაგება. სულ აიღეს 1.164 ქულა, დადეს 137 ლელო.

**მწვრთნელი:** ჯეისონ სთრეინჯია, კაპიტანი – ვილიამ ჯოუნზი.

უელსის ნაკრებში საინტერესო მოთამაშეა რის ქარსი. 128-კილოგრამიანი ბურჯი 20-წლამდელთა ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე მძიმეწონოსანი მორაგბეა. 20-წლამდელთა 6 ერის დროს, მან დაგვანახა, რომ ძლიერია არა მხოლოდ ახლო ბრძოლაში, არამედ ფლობს შესანიშნავ ტექნიკას ასეთი მძიმე ადამიანისთვის.

### სამოა

კუნძულელებს ბოლო განთესვა აქვთ – მე-12, რადგან 2016 წლის 20-წლამდელთა ალაფის გამარჯვებული ნაკრებია. საუკეთესო შედეგი მე-7 ადგილი ორჯერ აქვთ ნაჩვენები (2008, 2009). ასევე ორჯერ ნაჩვენები უარესი შედეგი – ბოლო, მე-12 ადგილი (2010, 2015). მსოფლიოზე 35 თამაში: 11 მოგება, 24 წაგება. სულ 527 ქულა და 61 ლელო.

**მწვრთნელი:** „მო" შვოლგერი, კაპიტანი – ივან ფეპულეაი.

უნდა დავაკვირდეთ პიტო ტოეაფეს. მეორეხაზელს უკვე უთამაშია სამოას ეროვნულ ნაკრებში, ხოლო ამა წლის მარტში ა გუნდის შემადგენლობაში წყნარი ოკეანის თასზე თამაშობდა. მან ეროვნულის კვართი პირველად 2015 წელს მოირგო.

**სამატჩო განრიგი:**

**31 მაისი:** ინგლისი-სამოა (13:00), ავსტრალია-უელსი (20:30);

**4 ივნისი:** ავსტრალია-სამოა (15:30), ინგლისი-უელსი (20:30);

**8 ივნისი:** უელსი-სამოა (13:00), ინგლისი-ავსტრალია (20:30).

**ბ ჯგუფი:** ირლანდია, ახალი ზელანდია, შოტლანდია, იტალია

### ირლანდია

2016 წლის ვიცეჩემპიონებს ტურნირზე მე-2 განთესვა აქვთ. ეს არის მათი საუკეთესო შედეგი, ყველაზე უარესი კი ორჯერ აქვთ დაფიქსირებული – მე-9 (2008, 2010); 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ჩაატარეს 45 თამაში: 23 მოგება, 22 წაგება. მოიპოვეს 1.057 ქულა, დადეს 112 ლელო.

**მწვრთნელი:** პითერ მელონი, კაპიტანი – პოლ ბოილი.

უნდა დავაკვირდეთ ფინინ ვიჩერლს. ის პირველად ითამაშებს 20-წლამდელთა ჩემპიონატს, თუმცა მეორეხაზელი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია ირლანდიის ნაკრებში. ვიჩერლის მანსთერის შემადგენლობაში დებიუტი პრო 12-ში, კარდიფთან ჰქონდა. ის ძალიან კარგია რაქებში და დერეფანში. მისი გამოცდილება გადამწყვეტი იქნება ირლანდიის ნაკრებისთვის, რომელმაც ტრავმების გამო რამდენიმე მოთამაშე დაკარგა.

### ახალი ზელანდია

ამ ასაკში მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონებს ამჯერად მე-5 განთესვა აქვთ. ზელანდიელებმა ჩემპიონობა 2008, 2009, 2010, 2011, 2015 წლებში მოიპოვეს. ყველაზე უარესი შედეგი კი გასულ წელს აჩვენეს – მე-5 ადგილი. 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ჩაატარეს 45 თამაში: 38 მოგება, 7 წაგება, 1.910 ქულა, 266 ლელო.

**მწვრთნელი:** ქრეიგ ფილპოთი, კაპიტანი – ლუქ ჯეკობსენი.

საინტერესო მორაგბეა ქეილებ კლარკი. ყოფილი ოლ ბლექსელის ერონ კლარკის შვილი, რაც მას დამატებით წნეხში ამყოფებს, თუმცა 18 წლიდან კლარკი ამ ფაქტიდან სარგებელს ნახულობს და ერონისგან საჭირო რჩევებს იღებს. 20-წლამდელთა წყნარი ოკეანის თასზე ის ყველასათვის შესამჩნევი იყო.

### შოტლანდია

ტურნირზე მე-8 განთესვა და საუკეთესო შედეგიც მე-8 ადგილია. შოტლანდიელებმა ეს ბოლო 2 წელიწადში მოახერხეს, მანამდე ორჯერ იყო მე-9 და ხუთჯერ მე-10 ადილზე. 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 45 თამაში: 16 მოგება, 29 წაგება, 877 ქულა, 116 ლელო.

**მწვრთნელი:** ჯონ დალზილი, კაპიტანი – კელამ ჰანთერ-ჰილი.

უნდა დავაკვირდეთ დარსი გრემს. შარშანდელ 20-წლამდელთა ჩემპიონატზე მან ავსტრალიას შესანიშნავი ლელო დაუდო და საკუთარი შესაძლებლობები ყველას დაანახა. მას შემდეგ გრემის კარიერა თავბრუსდამხვე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## გია გეგუჩაძემ ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 8 და 12 ივნისს 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს – გია გეგუჩაძის გუნდი ჯერ ბულგარეთს ეწვევა, მერე კი – მონტენეგროს.

21-წლამდელები შეკრებას 3 ივნისს დაიწყებენ, ბულგარეთში კი 6 ივნისს გაემგზავრებიან. გეგუჩაძემ უკვე გამოაცხადა ნაკრების გაფართოებული სია, საიდანაც შემდეგ სასურველ 23 ფეხბურთელს აარჩევს.

ტრავმების გამო გუნდს გამოაკლდნენ ლუკა ზარანდია, გრიგოლ ჩაბრაძე, რომან ჭანტურია, ოთო გოშაძე და ცოტნე ნადარაია, ხოლო ჯიმი ტაბიძე და ოთარ კიტეიშვილი ეროვნულ ნაკრებში დაწინაურდნენ.

**სადღეისოდ გეგუჩაძის განკარგულებაში არიან:**

**მეკარეები:** ლაზარე კუპატაძე (საბურთალო), ბექა ქურდაძე (ლოკომოტივი), გოგი კულუა (მერანი);

**მცველები:** გიორგი თევზაძე (დინამო თბ), გაგი მარგველაშვილი (საბურთალო), თორნიკე კირკიტაძე, გურამ გიორბელიძე (ორივე სიონი), აკაკი შულაია, ანდრო გიორგაძე (ორივე მერანი), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), გიორგი ქანთარია (ნემანი, ბელარუსი), ლუკა გადრანი (ცხინვალი);

**ნახევარმცველები:** გიორგი ხარაიშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი (საბურთალო), გიორგი კიკნაძე, ირაკლი კომახიძე (ლოკომოტივი), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა), გიგა წურწუმია (გაგრა), შერმადინ ართმელაძე (შუქურა), ნიკა ბაშალეიშვილი (თელავი), ცოტნე მესხი (დინამო თბ);



**თავდამსხმელები:** ბექა მიქელთაძე (დინამო), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი), ლუკა იმნაძე (საბურთალო), ნიკა ლაშხია (ზუგდიდი).

## შედეგები

**29 მაისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**პლეი ოფი**

ჰადერსფილდი-რედინგი ...... 0:0(4:3პ)

**გერმანია. ბუნდესლიგა**

**პლეი აუტი**

ბრაუნშვაიგი-ვოლფსბურგი .......... 0:1

**იტალია. სერია ბ**

**პლეი ოფი**

ფროზინონე-კარპი ........................ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-გალათასარაი .................. 2:3

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

რანდერსი-ოდენსე ........................ 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-მალმიო ................................... 0:1

ჰაკენი-ესტერსტუნდი ................... 0:1

იორებრო-სირიუსი ...................... 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

სტრომგოდსეტივიკინგი ............... 4:2

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

ჯოკოვიჩი-გრანოლერსი .... 6:3,6:4,6:2

ნადალი-პერი ..................... 6:1,6:4,6:1

რაონიჩი-დარცისი ............. 6:3,6:4,6:2

ჩილიჩი-გულბისი ............... 6:3,6:3,6:3

გოფენი-მატიო .................... 6:2,6:2,6:2

ვესელი-სოკი ...................... 7:5,7:5,6:3

ბაუტისტა აგუტი-მილმანი 6:2,6:2,0:6,6:1

გასკე-დე გრეეფი .......... 6:2,3:6,6:1,6:3

ფონინი-ტიაფო ....... 6:4,6:3,3:6,1:6,6:0

კუევასი-ჰამუ ...................... 6:3,6:2,6:4

ფერერი-იანგი .... 5:7,6:3,4:6,6:3,13:11

ბასილაშვილი-სიმონი .. 1:6,6:2,6:4,6:1

ნაპოლიტანო-მ.ზვერევი4:6,7:5,6:2,6:2

ერბერი-დონალდსონი ........ 6:4,7:6,6:4

კიკერი-ძუმჰური .......... 6:3,2:6,6:3,6:4

სეპი-ხირალდო ............ 4:6,6:1,6:2,6:2

ესტრელია-გაბაშვილი 6:7,2:6,7:6,6:3,6:2

ფ.ლოპესი-ფრატანჯელო ... 6:4,7:6,6:3

კრავჩუკი-დელბონისი ........ 6:3,6:4,7:6

დუტრა სილვა-იუჟნი 4:6,7:6,2:6,7:6,6:2

ბედენე-ჰარისონი ......... 6:4,6:0,3:6,6:1

ტროიცკი-დონსკოი ............ 7:6,6:4,6:0

ბოლელი-მაუ ..................... 6:4,6:2,6:2

ჩორიჩი-ბურგი .................... 7:6,6:3,6:2

სტახოვსკი-ლუ .................. 6:3,6:4,7:6

შვარცმანი-რუბლიოვი 0:6,6:4,6:2,6:7,9:7

სოუზა-ტიპსარევიჩი .... 4:6,7:6,6:2,6:2

**ქალები**

სტოსური-კუკოვა ..................... 7:5,6:1

ფლიპკენსი-მინელა .................. 6:3,6:3

ვოზნიაცკი-ფურლისი ......... 6:4,3:6,6:2

აბანდა-ანდრიანჟაფიტრიმო ... 6:3,6:4

ბელისი-ლემუანი ................ 6:3,3:6,6:1

ბერტენსი-ტომლიანოვიჩი . 4:6,6:1,6:1

ჟანგი-ვეკიჩი ........................... 7:5,6:4

მუგურუსა-სკიავონე ................ 6:2,6:4

კონტავეიტი-ნიკულესკუ ......... 7:5,6:1

ლარსონი-ვიხლიანცევა .......... 6:4,6:4

პუტინცევა-ჟორჟი .................. 6:3,6:0

ერანი-დოი ............................... 7:6,6:1

მლადენოვიჩი-ბრეიდი ........ 3:6,6:3,9:7

ჰოგენკამპი-იანკოვიჩი ............ 6:2,7:5

მერტენსი-გავრილოვა ........ 7:6,1:6,6:4

ჟაბორი-ბოგდანი .................... 6:3,6:4

ლინეტი-ლიმი ......................... 6:0,7:5

კონიუჰი-კოვინიჩი .................. 7:5,7:6

ვესნინა-ჰადად მაია ........... 6:2,3:6,6:4

ლეპჩენკო-პეტკოვიჩი ........ 6:4,3:6,6:3

პავლიუჩენკოვა-ტიგი ............ 6:1,6:0

სეპედე როიგი-საფაროვა ........ 6:1,6:4

დუკე მარინო-ბეგუ ................. 7:6,6:4

რიბარიკოვა-ვანდევეგე .......... 6:1,6:4

ვიტჰოფტი-დევისი ............ 2:6,6:3,6:3

პარმენტიე-ხრომაჩევა ............ 6:3,6:0

ალექსანდროვა-სინიაკოვა .6:4,2:6,6:2

კარ.პლიშკოვა-ჟენგი ............... 7:5,6:2

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა



# რა არის გესტაციური დიაბეტი

ეკა ირემაშვილი



ორსულობა ქალის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ამ დროს ორგანიზმი ახალი სიცოცხლისთვის ყველანაირ პირობას ქმნის, რაც მრავალი ცვლილების მიზეზია. მედიკოსები აცხადებენ, რომ ორსულობის ნებისმიერ დროს ქალბატონებს მაქსიმალური ყურადღება მართებთ, რათა თავიანთ პატარას ჯანმრთელად დაბადებაში შეუწყონ ხელი.

არის შემთხვევები, როცა ორსულებში გესტაციური დიაბეტი ვითარდება. გესტაციურ დიაბეტს ორსულთა დიაბეტსაც უწოდებენ. ეს არის სისხლში შაქრის დონის მომატება, რომელიც პირველად გამოვლინდება ორსულობის პერიოდში.

რა არის გესტაციური დიაბეტი, როგორ კონტროლდება სისხლში შაქრის დონე და რა სიმპტომები ახასიათებს მას ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი ენდოკრინოლოგი მარი გელაშვილი საუბრობს.

**მარი გელაშვილი:**

– გესტაციური დიაბეტი ეს არის სისხლში შაქრის დონის მომატება, რომელიც პირველად გამოვლინდება ორსულობის პერიოდში.

***– როგორ კონტროლდება სისხლში შაქრის დონე?***

– სისხლში შაქრის დონე კონტროლდება პანკრეასის მიერ სინთეზირებული ჰორმონ ინსულინის მეშვეობით, რომლის გარეშეც გლუკოზას არ შესწევს უნარი, შეაღწიოს უჯრედებში.

***– რა რაოდენობის ინსულინია საჭირო ორსულობის პერიოდში?***

– ორსულობის პერიოდში ნორმალური მეტაბოლიზმისთვის ორგანიზმს ესაჭიროება სამჯერ მეტი ინსულინი, რადგან პლაცენტის ჰორმონების გავლენით ორსულობისას ქვეითდება მგრძნობელობა ინსულინის მიმართ, რასაც ვუწოდებთ ინსულინორეზისტენტობას. თუ ვერ მოხერხდა დამატებითი ინსულინის სინთეზი, სისხლში გლუკოზის დონე იწყებს მატებას და შესაძლოა განვითარდეს გესტაციური – ორსულთა დიაბეტი.

***– რა სიმპტომები ახასიათებს გესტაციურ დიაბეტს?***

– გესტაციური დიაბეტი, როგორც წესი, უსიმპტომოდ მიმდინარეობს, თუმცა შესაძლოა აღინიშნოს პირის სიმშრალე, გაძლიერებული წყურვილი, გახშირებული შარდვა, საერთო სისუსტე და კანის ქავილი.

***– რა რისკ ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ეს დაავადება?***

– გესტაციური დიაბეტის განვითარების რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება ჭარბი წონა, ახლო ნათესავებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს არსებობა, გლუკოზის მიმართ ტოლერანტობის დარღვევა ან გესტაციური დიაბეტის არსებობა წინა ორსულობისას, ასაკი, ანამნეზში მშობიარობა დიდი წონის ნაყოფით და ჰიპერტენზია.

სპორტი

# საქართველო მსოფლიოს ეპიცენტრია მსოფლიო თასი დღეს იწყება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ვი ტემპებით განვითარდა – ედინბურგთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ეს მოვლენა 20-წლამდელთა 6 ერის ბოლო 2 შეხვედრაში 3 ლელოთი აღნიშნა, რის შემდეგაც 7-კაცას მსოფლიო სერიებში ჰონგ კონგისა და სინგაპურის ეტაპებზე ითამაშა.

### იტალია

მე-11 განთესვის გუნდისთვის საუკეთესო შედეგიც ასეთია და ეს 5-ჯერ მოახერხა (2008, 2011, 2014, 2015, 2016). უარესი შედეგი მე-13 (2009 წელს, ბოლო წელი, როდესაც 16 გუნდი თამაშობდა). 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 35 თამაში: 9 მოგება, 26 წაგება, 523 ქულა, 60 ლელო.

**მწვრთნელი:** ალესანდრო ტრონკონი, კაპიტანი – მარკო რიჩონი;

კაპიტანია ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იტალიელთა შემადგენლობაში. 20-წლამდელთა 6 ერზე იტალიამ ხუთივე თამაში წააგო, მაგრამ გუნდის კაპიტანმა კარგი რეპუტაცია მოიპოვა და უახლოეს მომავალში აუცილებლად გახდება ეროვნული გუნდის წევრი. რიჩონი საქართველოში ყველაზე გვიან, კვირას ჩამოვიდა, რადგან კალვიზანოს იტალიის ჩემპიონატის ფინალის მოგებაში დაეხმარა, მომავალ სეზონს კი ტრევიზოში დაიწყებს და პრო 12-ში ითამაშებს.

### სამატჩო განრიგი

**31 მაისი**: ზელანდია-შოტლანდია (13:00), ირლანდია-იტალია (15:00);

**4 ივნისი:** ირლანდია-შოტლანდია (13:00), ზელანდია-იტალია (15:00);

**8 ივნისი:** შოტლანდია-იტალია (13:00), ირლანდია-ზელანდია (15:00).

### C ჯგუფი: არგენტინა, სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი, საქართველო

### არგენტინა

ჯგუფში არგენტინელებს საუკეთესო განთესვა აქვთ – მე-3 და ეს გასულ წელს მოპოვებული ადგილის მიხედვით. არგენტინელებს უკეთესი შედეგი არ უჩვენებიათ, ხოლო ყველაზე უარესად 2009 წელს იასპარეზეს, როდესაც მე-11 ადგილი დაიკავეს. 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 45 თამაში: 23 მოგება, 22 წაგება, 975 ქულა, 108 ლელო.

**მწვრთნელი:** გასტონ კონდე, კაპიტანი – ტომას მალანოსი.

უნდა დავაკვირდეთ მარკოს კრემერს, რომელსაც შეუძლია როგორც მეორე, ასევე მესამე ხაზში თამაში. კრემერი იყო ერთ-ერთი გამორჩეული იმ არგენტინის შემადგენლობაში, რომელმაც 20-წლამდელთა ჩემპიონატზე საუკეთესო შედეგი აჩვენა, ორჯერ დაამარცხა სამხრეთ აფრიკა და მესამე ადგილი დაიკავა. ეროვნულ გუნდში დებიუტი მსოფლიოს ჩემპიონის, ახალი ზელანდიის წინააღმდეგ 4 ერის გათამაშებაში ჰქონდა. მას ზერაგბიში თამაშის გამოცდილებაც აქვს და ეროვნული გუნდის თავკაცი დანიელ ურკადე მისი დიდი ქომაგია.

### სამხრეთი აფრიკა

მე-4 განთესვის მქონე აფრიკულ გუნდს 2012 წელს ამ ასაკში ჩემპიონობაც აქვს მოპოვებული. უარესი შედეგი კი მხოლოდ მე-5 ადგილია (2011). 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 45 თამაში: 33 მოგება, 12 წაგება, 1.745 ქულა, 236 ლელო.

**მწვრთნელი:** ჩინ რუ, კაპიტანი – ერნსტ ფანრეინი.

უნდა დავაკვირდეთ ქერვინ ბოშს: უნიჭიერესი მორაგბე, რომელსაც ბევრი ქურციკების შემადგენლობაში საფრანგეთთან გასამართი ტესტმატჩებისთვის ხედავდა. შარშანდელ 20-წლამდელთა ჩემპიონატში ის საიმედო იყო დაცვაში და სახიფათო შეტევაში. ბოში საშიშია ბურთით ხელში, კარგად თამაშობს ფეხით როგორც ტაქტიკური, ასევე კარში დარტყმისას. წელს მან შარქსის შემადგენლობაში ზერაგბიში ითამაშა და სამხრეთაფრიკული გუნდის ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო.

### საფრანგეთი

ევროპელებს მე-9 განთესვა აქვთ, რაც მათთვის უარესი შედეგია 10-წლიან ისტორიაში. საუკეთესო შედეგი კი მათთვის მე-4 ადგილია (2011, 2015). 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 45 თამაში: 29 მოგება, 16 წაგება, 1.224 ქულა, 152 ლელო.

**მწვრთნელი:** ფილიპ ბოერი, კაპიტანი – ფლორიან ვერეგე.

უნდა დავაკვირდეთ რომენ ნტამაკს, რომელსაც 18 წელი მხოლოდ ამ თვის დასაწყისში შეუსრულდა, თუმცა, როგორც ჩანს, ისეთივე ნიჭის პატრონია, როგორითაც მამამისი, საფრანგეთის ნაკრებისა და ტულუზის ლეგენდა ემილ ნტამაკი იყო დაჯილდოებული. 20-წლამდელთა გუნდში მას დებიუტი წლევანდელ 6 ერზე ჰქონდა და მაშინვე მოექცა ყურადღების ცენტრში. რომენი მოჩვენებასავით ძვრება თავისუფალ სივრცეებში. ფეხის დარტყმების პროცენტით ვერ დაიკვეხნის, თუმცა ასაკთან ერთად ესეც აუცილებლად მოვა და საფრანგეთი უდავოდ ნიჭიერ მორაგბეს მიიღებს.



### საქართველო

ჩვენი ნაკრები ტურნირზე მე-10 განთესვით არის, რაც გასულ წელს ნაჩვენები შედეგით არის განპირობებული. ეს არის ქართველთა საუკეთესოც და უარესი შედეგიც, რადგან სხვა დროს მსოფლიოს თასზე არ უთამაშიათ. 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 5 თამაში: 1 მოგება, 4 წაგება, 58 ქულა, 7 ლელო.

**მწვრთნელი:** ილია მაისურაძე, კაპიტანი – ილია სპანდერაშვილი.

უნდა დავაკვირდეთ გელა აფრასიძეს. ბოლო დროს საქართველო დაჯილდოვებულია ნიჭიერი და ახალგაზრდა შერკინების ნახევარმცველებით. ვასილ ლობჟანიძე საქვეყნოდაა ცნობილი, როგორც მსოფლიო თასების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, თუმცა გელა აფრასიძის შესაძლებლობებს ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი მილთონ ჰეიგი ასევე მაღალ შეფასებას აძლევს და უახლოეს წლებში 9 ნომრის პოზიციაზე დიდი კონკურენცია იქნება. აფრასიძისთვის ეს მეორე 20-წლამდელთა ჩემპიონატია და შეუძლია ამ ტურნირში მესამედაც ითამაშოს, რადგან 20 წელი იანვარში უსრულდება. მას მგეზავადაც შეუძლია თამაში, წლის დასაწყისში კი, რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა და ეს გამოცდილება ახალგაზრდა ბორჯღალოსნებს მომდევნო 3 კვირაში ძლიერ წაადგებათ.

### სამატჩო განრიგი

**31 მაისი:** ს.აფრიკა-საფრანგეთი (15:30), არგენტინა-საქართველო (18:00);

**4 ივნისი:** არგენტინა-საფრანგეთი (13:00), ს.აფრიკა-საქართველო (18:00);

**8 ივნისი:** არგენტინა-ს.აფრიკა (15:30), საფრანგეთი-საქართველო (18:00).

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის

**განცხადება**

ქართულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და წარმატებული მოღვაწეობისთვის ჟურნალისტ

**ნინო (ლალი) ლომაძეს**

**მიენიჭა**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.**

ვულოცავთ ქ-ნ ნინოს ამ დიდ აღიარებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და პროფესიულ წარმატებებს.

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თ/თამჯდომარეები**

**მარინე გიგინეიშვილი**

**მარინა თეძთუმანიძე**

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმი**

## ასტროპროგნოზი

## 31 მაისისათვის



**ვერძი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **კურო** – მრავალ ხელსაყრელ პროექტს ხორცს შეასხამთ. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც ადრე დახმარების ხელი გამოგიწოდათ. **ტყუპები** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **კირჩხიბი** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **ლომი** – ნუ აჩქარდებით. ძალზე ემოციური და დაძაბული დღეა. ნერვები მოთოკეთ. **ქალწული** – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **სასწორი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მიზნის მისაღწევად მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ. **ღრიანკალი** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **მშვილდოსანი** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით. **თხის რქა** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **მერწყული** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **თევზები** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელების შემქმნელი ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი; 2. ფრანგი სამხედრო-მოიერიშე თვითმფრინავების სერია; 3. ჩეხი კომპოზიტორი; 4. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთში; 5. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 7. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ხელის მინიშნებითი, გამომხატველობითი მოძრაობა; 12. ადამიანის, ცხოველის ძვლების ერთობლიობა; 13. პატარა სამკუთხა ალამი; 14. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 15. იაპონური ავტომობილი; 17. სტადიონი მეხიკოში; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში.

**თარაზულად**: 5. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 6. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 8. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირზე გაცემის შესახებ; 9. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი; 10. ებრაული წესით დამზადებული ღვინო; 11. მოწითალო ფერის ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 13. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 14. ქვეწარმავლის შხამი; 16. მესაქონლეობის ფერმა ამერიკაში; 18. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 20. სპორტის ტექნიკური სახეობა, მოტოციკლეტებით რბოლა ყინულზე ან წიდიან ბილიკზე; 21. ყავის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „გეთი“; 2. ზესხო; 3. ილორი; 4. შევრო; 5. რაბათი; 6. ზედაზენი; 8. აბასთუმანი; 10. „ვინჩესტერი“; 11. სამშვილდე; 14. აფექტი; 15. იგრიკა; 16. „ციცქა“.

**თარაზულად:** 1. გეიზერი; 4. „შარტრეზი“; 7. თრუსო; 9. „კიევო“; 12. ჭილაძე; 13. ქანდა; 14. არაგვი; 17. ემისია; 18. სკეპტიციზმი; 19. ვიმპელი; 20. პანიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აბრაგი; 2. აქციზი; 3. ჭიანური; 4. მექსიკა; 5. ქლუხორი; 7. კამბუზი; 11. წრუტო; 12. ბიბლია; 13. ჩარტერი; 14. სფინქსი; 15. სინუსი; 17. ბოტასი; 19. იაგო.

**თარაზულად:** 5. ქულბაქი; 6. მატიანე; 8. ზაქი; 9. ტუნგი; 10. ოსტიტი; 11. წულა; 13. „ჩეჭიფეში“; 14. სეული; 16. აბული; 18. „შატლი“; 20. სულგუნი; 21. სამსუნი.

# პრინცი უილიამი შეეცადა, შვეულმფრენით წყალში ჩავარდნილი მოზარდი გადაერჩინა



კემბრიჯის ჰერცოგმა პრინცმა უილიამმა 17 წლის მოზარდის გადარჩენის ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც საბოლოოდ მაინც დაიღუპა. მისი ცხედარი ერთსაათიანი ძებნის შემდეგ აღმოაჩინეს.

ინციდენტი ლონდონთან მდებარე ლი ველის ტბაზე მოხდა. მოზარდი წყალში იმ დროს ჩაიძირა, როდესაც ტბის შუაგულში მდებარე კუნძულამდე მიცურვას ცდილობდა.

მას შემდეგ, რაც ექსტრემალურ სამსახურში წყალსატევზე საგანგებო შემთხვევის შესახებ შეტყობინება შევიდა, პრინცი უილიამი სასწრაფო დახმარების შვეულმფრენით შემთხვევის ადგილისკენ გაფრინდა. ვიდეოჩანაწერის თანახმად, კემბრიჯის ჰერცოგმა შვეულმფრენი მიწაზე დასვა და შემთხვევის ადგილისკენ გაემართა.

ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, შემთხვევის ადგილზე ორი შვეულმფრენი იყო. ერთ-ერთი პოლიციის გახლდათ. იქვე იმყოფებოდნენ მაშველები და პარამედიკოსები.

აღსანიშნავია, რომ ლი ველის ტბაზე, რომლის ფართობი 40 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ბანაობა აკრძალულია.

# პენელოპა კრუსი დონატელა ვერსაჩეს განასახიერებს



სოციალურ ქსელებში ახლახან გამოჩნდა მსახიობ პენელოპა კრუსის ფოტოსურათი, რომელშიც ის დიზაინერ დონატელა ვერსაჩეს სახითაა წარმოდგენილი და რომლის როლსაც „ოსკარის" პრემიის ლაურეატი სერიალ „დანაშაულებების ამერიკულ ისტორიაში" თამაშობს. სურათი ინსტაგრამში ერთ-ერთმა ჟურნალმა გამოაქვეყნა.

პროექტის ერთ-ერთი ახალი სეზონი მოდის სახლ ვერსაჩეს დამაარსებლის ჯანი ვერსაჩეს მკვლელობას ეხება. დიზაინერი 1997 წელს მაიამი-ბიჩში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. ამის შემდეგ კომპანიაზე კონტროლი მის და დონატელა ვერსაჩეზე გადავიდა.

ჯანი ვერსაჩეს როლის შესრულება მსახიობ ედგარ რამირესს ერგო, ხოლო მის პარტნიორს მომღერალი რიკი მარტინი თამაშობს.

სერიალის გადაღებები იმ ვილაშიც მიმდინარეობდა, სადაც დიზაინერი დაიღუპა.

# ჯორჯ კლუნი სოფლის რატუშის გადასარჩენად ფულს აგროვებს



ჰოლივუდის მსახიობმა ჯორჯ კლუნიმ დიდ ბრიტანეთში ვიქტორიანული ეპოქის რატუშის გადასარჩენად, რომელიც სოფელ სონინგ-თემზაზე მდებარეობს, თანხის შეგროვებაში მიიღო მონაწილეობა.

კლუნი თავის მეუღლესთან ერთად აღნიშნულ სოფელში ფლობს სახლს, რომლის ღირებულება 10 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. მსახიობს ასევე აქვს ორი ვილა იტალიაში და სხვა უძრავი ქონებაც.

მუნიციპალიტეტის შენობის განახლებას 400 ათასი ფუნტი სტერლინგი სჭირდება. მსახიობმა რატუშის შესაკეთებელი სამუშაოებისთვის ათასი ფუნტი გაიღო.

რატუშის გადარჩენის კამპანიის ფარგლებში ივნისში აუქციონის გამართვაა დაგეგმილი, რომელშიც სხვა ლოტებთან ერთად გასაყიდად იქნება გამოტანილი ფეხბურთის ბურთი პელეს ავტოგრაფით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე, შესანიშნავი პიროვნება, ხალასი და ფაქიზი სულის მქონე უკეთილშობილესი ქალბატონი

## დალი გრძელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გია ჭუბაბრიას ხელოვნების ქურუმი გადაეცა



ქართული დოკუმენტური კინოს შესანიშნავ რეჟისორს, სცენარისტსა და ოპერატორს, ბატონ გია ჭუბაბრიას ქართულ ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სპეციალური ჯილდო „ხელოვნების ქურუმი" გადაეცა!

გია ჭუბაბრიას 80 წელი შეუსრულდა. საიუბილეო საღამო კინოს სახლის განახლებულ კინოდარბაზში გაიმართა, სადაც კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ნანა დოლიძემ ჯილდო გადასცა ბატონ გია ჭუბაბრიას. მილოცვებისა და რეჟისორის შემოქმედების შესახებ საინტერესო საუბრების შემდეგ კინოს სახლის კინოდარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ გია ჭუბაბრიას რამდენიმე ფილმი ნახა.

# „იცნობდე შენი ქვეყნის საგანძურს!"

ამ ეგიდით ახორციელებენ ერთობლივ აქციას საქართველოში ბრიტანეთის საელჩო და საქართველოს ხელოვნების სასახლე.



ერთობლივი პროექტის ფარგლებში ფართო საზოგადოებისთვის წარმოდგენილია მოოქრული სამაჯური მარჯორი უორდროპის პორტრეტით, რომელიც უორდროპების კოლექციაა. მარჯორი უორდროპი ბრიტანელი სწავლული, მთარგმნელი და საქართველოში გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენლის, ოლივერ უორდროპის და იყო. მან თარგმნა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი", „წმინდა ნინოს ცხოვრება" და კიდევ რამდენიმე ნაწარმოები.

მარჯორი უორდროპმა პირველმა ინგლისურად თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". მისი გარდაცვალების შემდეგ სერ ოლივერ უორდროპმა ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდი დააარსა, რომლის მიზანიც სტუდენტებში ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის სურვილის წახალისება იყო.

# გირშელ ჯავახიშვილის ბიბლიოთეკა ჯაზის კოლეჯს გადაეცა




ვანოს შოუს მუსიკოს გირშელ ჯავახიშვილის ბიბლიოთეკა ჯაზის კოლეჯს გადაეცა. გირშელი სიმსივნისგან რამდენიმე თვის წინ ამერიკაში გარდაიცვალა. მის დასახმარებლად სხვადასხვა კულტურული აქტივობა ჩატარდა როგორც საქართველოში, ასევე ამერიკაში, თუმცა მუსიკოსის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გირშელის გარდაცვალების შემდეგ მისმა ბიძამ თენგიზ ახალაიამ მთელი მისი ბიბლიოთეკა ჯაზის სკოლას უსახსოვრა. ინფორმაცია ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა რეზო კიკნაძემ გაავრცელა:

– ჩვენი კოლეგა და მეგობარი, გირშელ ჯავახიშვილი, რომელმაც ამ ნახევარი წლის წინ დაგვტოვა, კვლავაც გვიღიმის, ჩვენს ხსოვნაშიც და ყველა ფოტოდანაც, დღეს კი ალბათ განსაკუთრებით – მისმა ბიძამ, ბატონმა თენგიზ ახალაიამ მისი ძვირფასი და საინტერესო ბიბლიოთეკა გადმოგვცა საჩუქრად და ამოვზიდეთ ნუცუბიძეზე, ჯაზის კოლეჯში!

# ოთო ღურწკაია „იქს ფაქტორიდან" გაუშვეს



მომღერალი ოთო ღურწკაია „იქს ფაქტორიდან" გაუშვეს. მუსიკალურ შოუში პირდაპირი ეთერი დაიწყო და ოთხივე მენტორის ორ-ორი კონკურსანტი მსმენელის წინაშე წარდგა.

ოთო ღურწკაია სტეფანე მღებრიშვილის გუნდში იყო და მას მენტორმა იუდას არია შეურჩია მიუზიკლიდან „იესო სუპერვარსკვლავი". მაყურებლის გადაწყვეტილებით, ოთო აღმოჩნდა ის პირველი კონკურსანტი, რომელიც „იქს ფაქტორს" გამოეთიშა.

პირველი პირდაპირი ეთერის შემდეგ ყველაზე ნაკლები ხმები ოთო ღურწკაიამ და სოფო საჟინიანმა დააგროვეს. სტეფანეს კონკურსანტს ლელა წურწუმიას კონკურსანტმა აჯობა და ოთოს პროექტი დაატოვებინა, თუმცა მისმა გაშვებამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, რადგან ოთოს გულშემატკივრებს სჯერათ, რომ შოუს მენტორებმა ყველაზე ძლიერი მომღერალი მოიშორეს, რათა მათ კონკურსანტებს პროექტის მოგება გაუადვილდეთ.

# სალომე კორკოტაშვილი

## უიტნი ჰიუსტონის პროდიუსერმა მიიწვია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**სალომე კორკოტაშვილი:**

– ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ჩემს საყვარელ ფესტივალ თბილისი ოფენ ეარ 2017-ში ვეღარ მივიღებ მონაწილეობას, რადგან ივნისის დასაწყისში მივფრინავ ამერიკის შეერთებულ შტატებში. დაუგეგმავად 3 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით მიმიწვიეს რამდენიმე ღონისძიებაზე. დავდექი არჩევანის წინაშე. ფესტივალის ორგანიზატორები გაგებით მოეკიდნენ ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობას და, პირიქით, ხელს მიწყობენ, რომ კიდევ უფრო განვვითარდე და უფრო დიდ წარმატებას მივაღწიო. იმედი მაქვს, ჩემი მსმენელიც გაგებით მოეკიდება ამ ცვლილებას და წარმატებას მისურვებს. ჩემი განრიგი შემდეგნაირად გამოიყურება:

3 ივნისს მივფრინავ ვაშინგტონში, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩატარდება ღონისძიება! შევასრულებ საქართველოსა და ამერიკის ჰიმნებს.

23-26 ივნისს ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში ტარდება ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული მუსიკოსები. განაცხადი მონაწილეობაზე შეტანილი ჰქონდა 3000 ადამიანს, საიდანაც შეირჩა 30 მუსიკოსი, მათ შორის მე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფესტივალში მონაწილეობა, რადგანაც მისი მსვლელობის დროს ჩაატარებენ მასტერკლასებს ისეთი გამოცდილი ადამიანები, რომლებმაც წარმატების მიღწევაში ხელი შეუწყვეს მსოფლიო დონის ვარსკვლავებს, ბიონსეს, ტეილორ სვიფტს, განზ ენ როუზს, ალისია ქისის, ჯონ ლეჯენდს, ჯონი ბონ ჯოვის, ნაომი ქემპბელს. მასტერკლასი მოიცავს სასცენო ქორეოგრაფიის დახვეწას, ინტერვიუს მიცემის სპეციფიკასა და სასცენო იმიჯის მორგებას. ასევე მონაწილეობას მივიღებთ ამერიკის მედიასაშუალებებში, რადიოსა და ტელევიზიებში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# პროგრამა

**ოთხშაბათი 31 მაისი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 02.40** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.50 რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი **20** წლამდე მორაგბეთა შორის. **ახ/ზელანდია - შოტლანდია** **14.40** დოკ/ფ (რაგბი) **15.20 რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი **20** წლამდე მორაგბეთა შორის. **აფრიკა - საფრანგეთი** **17.10** რაგბის წინასამატჩო გადაცემა. **17.50 რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი **20** წლამდე მორაგბეთა შორის. **არგენტინა - საქართველო** **19.40** მატჩის შემდგომი გადაცემა **20.00** "მოამბე" **20.20 რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონატი **20** წლამდე მორაგბეთა შორის. **ავსტრალია - უელსი** **22.10** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**შუგარლენდის ექსპრესი**" (გ.ჰოუნი) **00.50** მხ/ფ "**საიდუმლოს გასაღები**" (კ.ჰადსონი)

**08.00** დოკ/ფ "ანატოლიის გარგარი" **09.00** დოკ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "ბიომეტრიის ეპოქა" **11.05** დოკ/ფ "ოქროს ხანა კინომუსიკაში - 1965-1975" **12.00, 22.10** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.50 რაგბი - 20** წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი" ჯგუფური ტურნირი. **ინგლისი - სამოა** **14.50, 20.00**"ბრიფინგის დრო" **15.20 რაგბი - 20** წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი" ჯგუფური ტურნირი. **ირლანდია - იტალია** **17.15** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.20 რაგბი - 20** წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი" ჯგუფური ტურნირი. **ავსტრალია - უელსი** **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება** **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** შინაურები **00.30** მხ/ფ "**გენერლის ქალიშვილი**" **02.35** მხ/ფ "**ქაოსი**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**ბეტმენი**" **00.55** მხ/ფ "**ბეტმენის დაბრუნება**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" VII ნაწ. **10.30** დ/ფ "ველური ბუნება"-ინდოეთის ლომების კვალდაკვალ **11.00** მიწათმოქმედი "მწვანე საფარი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** "წმინდანები"-ღირსი მამა დავით გარეჯელი **15.55** კონცერტი-"თბილისის საგუნდო მუსიკის VII საერთაშორისო ფესტ. დახურვა" **17.20** "ერთსულოვანი ოჯახი"-კერესელიძეები-რაჭული ეზო **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **20.40** ძილი ნებისა "კომბლე" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** წმინდანები "ღირსი მამა დოდო გარეჯელი" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "მამა დავითი" **01.00** საუკუნის პორტრეტები "კირიონ II" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი ბული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

31 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4256 |
| ევრო | — 2.713 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.115 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2947 |

## ამინდის პროგნოზი 31 მაისისთვის





1 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკის

გამქრალი ოცნებანი

წიგნი I



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



8 ივნისიდან



ონორე დე ბალზაკი

გამქრალი ოცნებანი

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## სალომე კორკოტაშვილი უიტნი ჰიუსტონის პროდიუსერმა მიიწვია



მომღერალი სალომე კორკოტაშვილი ბოლო პერიოდში საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებებს აღწევს. ახლახან ქართველი ხელოვანი, არც მეტი, არც ნაკლები, უიტნი ჰიუსტონის პროდიუსერმა ამერიკაში მიიწვია.

ამერიკაში დაგეგმილი ღონისძიებების გამო სალომეს თბილისი ოფერ ეარის ფესტივალში მონაწილეობაზე უარის თქმა მოუხდა.


**გაგრძელება მე-11 გვერდზე**


## რობერტო მანჩინი შესაძლოა ზენიტს ჩაუდგეს სათავეში

იტალიელი სპეციალისტი რობერტო მანჩინი ამჟამად რუსეთში იმყოფება, სადაც სანკტ-პეტერბურგის ზენიტის ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას.



მანჩინის თქმით, ის უკვე შეხვდა ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ადამიანს და უახლოეს დღეებში ბევრი რამ გაირკვევა.

ზენიტი ამჟამად მწვრთნელის გარეშეა და აქტიურად ეძებს უცხოელ სპეციალისტს. რაც შეეხება თვითონ მანჩინის, მისი ბოლო გუნდი ინტერი იყო და იტალიელი მწვრთნელი თითქმის ერთი წელიწადია, საქმის გარეშეა.

მანჩინის სამწვრთნელო კარიერაში ყველაზე დიდი მიღწევა მანჩესტერ სიტისთან ერთად ინგლისის ჩემპიონატის მოგებაა 2012 წელს.

## მარკო როისი რამდენიმე თვეს გამოტოვებს

დორტმუნდის ბორუსიის თავდამსხმელი მარკო როისი, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეს გამოტოვებს ტრავმის გამო, რომელიც მან გერმანიის თასის ფინალში აინტრახტის წინააღმდეგ მიიღო.

როისს მყესები აქვს დაზიანებული, რაც საკმაოდ დიდხანს მოითხოვს მკურნალობას. აღსანიშნავია, რომ მარკოს ტრავმების მხრივ ძალიან არ უმართლებს და კარიერაში მან უკვე რამდენჯერმე მიიღო ისეთი დაზიანება, რომლის გამოც მას დიდხანს მოუწია ფეხბურთისგან დასვენება.

ტრავმის გამო როისმა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოტოვა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ, როგორი მეუღლე შეგხვდა?

– არა მიშავს. კარგი მეუღლეა, სახლში ყველაფერს თვითონ აკეთებს.

– მართლა? შესანიშნავია...

– ჰო, მხოლოდ ეგაა, რომ მერე ყველაფრის გადაკეთება თავად მიწევს...

●●●

ქმარი სახლში ღამის სამ საათზე დაბრუნდა. ცოლი თავში ტაფას ურტყამს თან ჩასძახის:

– ეს შენ პირველი საათი, ეს შენ ორი საათი, ეს შენ სამი საათი...

კაცმა შვებით ამოილუღლუღა:

– კიდევ კარგი 12 საათზე არ მოვედი!!!

●●●

მასპინძელი სტუმარს სთავაზობს:

– ჩაის დალევთ?

– გმადლობთ, მაგრამ ჩაის არ ვსვამ.

– ყავას მოგიდუღებთ?

– არც ყავას ვსვამ!

– მაშინ ვისკის შემოგთავაზებთ კოლათი?

– კოლას არ ვსვამ!

●●●

დედა სკოლიდან დაბრუნებულ შვილს ეკითხება:

– საკონტროლო წერა გქონდათ?

– გვქონდა.

– მერე, რამდენი ამოცანა გქონდა?

– 15.

– და რამდენი ვერ ამოხსენი?

– ერთი.

– დანარჩენს სწორი პასუხი გაეცი?

– არა, ვერ მოვასწარი.

●●●

ბავშვი მამას ეუბნება:

– მამიკო, ოცი ლარი მომეცი და გეტყვი ვის სძინავს დედიკოსთან, როდესაც შენ სახლში არა ხარ.

– აჰა, შვილო, და მითხარი, ვის?!

– მე!

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– რომ მიმტკიცებ, შენ ჩემთვის პირველი ბიჭი ხარო, აბა გივი ვინ იყო?

– გივი კაცი იყო!!!

●●●

ქმარი ცოლს ეძახის:

– მოდი, ქალო, დროზე ლოგინში დაწექი, სიყვარულის ცეცხლი უნდა აგიგიზგიზო.

– რითი, მაგ შენი დამწვარი ფითილით?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.








23 მაისიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ტომას ტუხელი დორტმუნდის ბორუსიიდან წავიდა



დორტმუნდის ბორუსიას მომავალ სეზონში ახალი მწვრთნელი ეყოლება, რადგან ტომას ტუხელმა თანამდებობა დატოვა.

ტუხელის თქმით, მას კონფლიქტი მოუვიდა გუნდის ხელმძღვანელობასთან და ეს გადაწყვეტილება ამის გამო მიიღო, თუმცა ბორუსიის მიმართ მას ყოველთვის მხოლოდ კარგი მოგონებები ექნება.

– ბორუსიაში ორი დაუვიწყარი სეზონი გავატარე და ამ გუნდის მადლიერი ყოველთვის ვიქნები. ბორუსიას გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას მომავალში, – განაცხადა ტომას ტუხელმა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს ტუხელის ადგილს ბორუსიაში. დორტმუნდელები რამდენიმე კანდიდატს განიხილავენ.

## არსენ ვენგერმა არსენალთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა

ფრანგი სპეციალისტი არსენ ვენგერი არსენალს კიდევ ორი წელიწადი უხელმძღვანელებს. ვენგერმა უკვე შეათანხმა არსენალთან ორწლიანი კონტრაქტი, რომელსაც ის მალე ხელს მოაწერს.



ვენგერი არსენალში 1996 წლიდან მუშაობს და წლევანდელ სეზონში არსენალი მისი ხელმძღვანელობით პირველად ვერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში, რის გამოც საფეხბურთო სამყაროში თვლიდნენ, რომ არსენი სამუშაოს გარეშე დარჩებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მომავალ სეზონში არსენალი ევროპის ლიგაში იასპარაზებს და, ვენგერის თქმით, ეს ფაქტორი მათ დაეხმარება ინგლისის ჩემპიონატში, რადგან ჩემპიონთა ლიგა გუნდებს ბევრ ძალას ართმევს.

## ერნესტო ვალვერდე ოფიციალურად ბარსელონის მწვრთნელია

ერნესტო ვალვერდე ოფიციალურად დაინიშნა ბარსელონის მთავარ მწვრთნელად. ეს ინფორმაცია კატალონიურ კლუბში დაადასტურეს.

ვალვერდე ბარსელონასთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, ხოლო მისი ოფიციალური პრეზენტაცია 1 ივნისს შედგება.



ვალვერდეს, როგორც მწვრთნელს, საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და მას ესპანეთის გარეთაც არაერთხელ უმუშავია. აღსანიშნავია ისიც, რომ ვალვერდე ბარსელონაში თამაშობდა 1988-90 წლებში და ამ გუნდის მაისურით 10 გოლის გატანა შეძლო.

ვალვერდეს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, ბარსელონის რამდენიმე ფეხბურთელმა კი განაცხადა, რომ ისინი სიამოვნებით იმუშავებენ ვალვერდესთან ერთად.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2 საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. ფასიანი ქაღალდი; 4. შვედური ავტომობილი; 5. ფიგურული სახაზავი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. ფილიპინების დედაქალაქი; 15. ნაკვერჩხლებიანი ნაცარი; 16. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად**: 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. დადგენილი წილი, მიღებული ნორმა; 14. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 17. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 18. განდიდების მანია; 19. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 20. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

